

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გირშელი გიორგიძე

მეღვინეობის განვითარების ტერიტორიული და სოციალურ-
ეკონომიკური თავისებურებები იმერეთის რეგიონში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: თამარ დოღბაია

ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი

თბილისი 2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია მევენახეობა-მეღვინეობის სოციალური და ეკონომიკური როლი იმერეთის რეგიონში, თუ რა პერსპექტივებისა და გამოწვევების წინაშე დგას არსებული სფერო.

თემაში განხილულია: საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორია, საუბარია მატერიალურ თუ არამატერიალურ კავშირზე ვაზისა და ქართულ კულტურას შორის. დახასიათებულია ადგილწარმოშობის ვაზის უნიკალური ჯიშები და მათგან ნაწარმოები ღვინო.

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული იქნა კვლევის, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდები, კვლევა ეყრდნობა ანალიზის, სინთეზის, სტატისტიკურ, ემპირიულ კვლევისა და შემთხვევის შესწავლის მეთოდებს.

ანალიზისთვის საჭირო მონაცემების მისაღებად შევარჩიე იმერეთის რეგიონის სამი მუნიციპალიტეტი, სადაც გავრცელებულია მევენახეობა - ბაღდათი, ზესტაფონი, თერჯოლა. სპეციალურად შევარჩიე კითხვარი, რომელიც მოიცავდა კვლევისთვის რელევანტურ ცვლადებს.

ნაშრომის მთავარი ამოცანაა მეტი ყურადღება მიექცეს რეგიონს, რათა უკეთ განვითარდეს მევენახეობა-მეღვინეობა. მე ვფიქრობ უდიდესი პოტენციალი გააჩნია უნიკალურ ადგილწარმოშობის ვაზის ჯიშებს, რათა აწარმოოს ისეთი ღვინო, რომელიც მსოფლიო ბაზარზე თავის ნიშას დაიჭერს, როგორც მნიშვნელოვანი ბრენდი.

ჩემი ნაშრომი დაეხმარება ყველას, ვინც დაინტერესებულია იმერეთის რეგიონის მეღვინეობის პოტენციალით, რადგან წარსულისა და აწმყოს დაკვირვებით, სამომავლო პერსპექტივების სიღრმისეული ანალიზი მოხდა.

Annotation

Presented master's thesis shows social and economic role of viticulture and winemaking in Imereti region, with the perspectives and challenges facing existing sphere.

The topic of discussion is: the history of Georgian viticulture and winemaking, material or intangible connection between vine and Georgian culture. Moreover, it's characterized wine's unique species of place of origin and wines produced from them.

In the paper it is used both quantitative and qualitative research methods, research is based on analysis, synthesis, statistical, empirical research and methods of case study.

To collect necessary data for analysis I selected three municipalities from Imereti region, where winemaking culture is widespread – Baghdati, Zestaphoni and Terjola. I specially made out questionnaire that included researching relevant variables.

Research paper's main aim is to make the region more attractive for developing viticulture and winemaking sphere. I strongly believe, that native species of vine have great potential to produce a wine that will capture its place in the world market as a special brand.

My work will help everyone who is interested in winery's potential of Imereti region, because future perspectives' deep analysis is based on past and present observations.

სარჩევი

1.შესავალი -----	6
2. ლიტერატურის მიმოხილვა -----	9
3. საქართველო-ღვინის სამშობლო -----	11
4. იმერული მევენახეობა-მელვინეობის ისტორიული მიმოხილვა-----	13
5. იმერეთის რეგიონის ზოგადი დახასიათება -----	17
6. მევენახეობა-მელვინეობის განვითარების ტერიტორიული თავისებურებები-----	19
7. იმერეთში გავრცელებული უნიკალური ვაზის ჯიშები -----	23
8. 2004 და 2014 წლების სასოფლო-სამეურნეო აღწერის სტატისტიკური ანალიზი-----	27
9. 2004 და 2014 წლების სასოფლო-სამეურნეო აღწერის სტატისტიკური მონაცემების შედარება-----	31
10. მელვინეობის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები იმერეთის რეგიონში -----	34
11. ღვინის ექსპორტი -----	40
12. ღვინისა და ყურძნის პროდუქციის რეალიზება იმერეთის რეგიონში -----	41
13. დასკვნები და რეკომენდაციები -----	43
14.ბიბლიოგრაფია -----	47
15. დანართი -----	49

1.შესავალი

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარება, ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტერგაციის გასაღებია. ქვეყანაში უნდა ვაწარმოოთ ისეთი პროდუქტი რომელიც იქნება: ხარისხიანი, იაფი და მაღალ კონკურენტუნარიანი, რათა გაუძლოს მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის შემოთავაზებებს.

საქართველო გეოპოლიტიკური მდებარეობით და ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით უნიკალური ქვეყანაა. ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი თავის ნაშრომში „გეოგრაფია“ მოცემული აქვს ცნობები საქართველოზე, რაზეც გადიოდა 4 დიდი სავაჭრო-სამრეწველო გზა. დროთა განმავლობაში იცვლებოდა პოლიტიკური ვითარება და ეკონომიკური თანაშრომლობაც. დღესდღეისობით სუვერენულ სახელმწიფოს მკვეთრად განსაზღვრული გვაქვს გეზი ევროპასა და დასავლური კულტურის მიმართ, დღევანდელი მოცემულობა და ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა შესაძლებლობას გვაძლევს განვახორციელოთ ეკონომიკის ნებისმიერი სექტორი და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა.

სოფლის მეურნეობის განსაკუთრებული და უძველესი დარგია მევენახეობა-მელვინეობა. ვაზის კულტურის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ერის ისტორიასთან. ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ბუნება და განსაკუთრებული სიყვარული ვაზისა და ღვინისადმი გამოიხატა ქართულ კულტურაში, ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში, არქიტექტურაში, ორნამენტში, ჭედურობაში, მხატვრობაში, პოეზიაში, სიმღერასა და ხელოვნების სხვა დარგებში.(საქართველოს მევენახეობა მელვინეობა) ქართველი და უცხოელი მკვლევარები ვარაუდობენ, რომ საქართველო მევენახეობა-მელვინეობის უძველესი კერაა და ლანდშაპტურ-გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით ხარისხიანი ღვინის წარმოების ზონადაც მიიჩნევა. ზემოთაღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს, გარეული და კულტურული ადგილწარმოშობის ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება, აგრეთვე არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, ფილოლოგიური გამოკვლევები. (რამიშვილი, რ. 2000) ვაზი, საქართველოში ფართოდ გამოიყენება, იყენებენ ყურძნისგან დაწურულ წვენს, ამზადებენ ბადაგს, ყურძნის წიპწებისგან ამზადებენ ზეთს, თათარას და ჩურჩხელას, გამოიყენება საჩამიჩედ, არსებობს დეკორატიული ჯიშები.

იყენებენ სამკურნალოდ: გულსისხლძარღვთა დაავადებისა და სისხლის ნაკლებობის დროს.(საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა)

ღვინო უძველესი დროიდან საექსპორტო საგანს წარმოადგენს, რის გამოც საქართველოს ეკონომიკის განვითარების საწყის ეტაპზე, განსაკუთრებული და სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთისა და ბარის განცალკავება ვაზის სამუალებით ხდებოდა, ადგილი მთად მიიჩნეოდა, საიდანაც ვაზის მოყვანა შეუძლებელი იყო და პირიქით ბარი - სადაც მევენახეობა შესაძლებელი იყო. (ჯავახიშვილი, ი. 1986)

საქართველოს მეღვინეობის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია იმერეთის რეგიონს, რაზეც მეტყველებს რეგიონის განსაკუთრებული მეღვინეობის კულტურა და ფაქტი, რომ მე-19 საუკუნეში იმერეთის რეგიონში უფრო მეტი ღვინო იწარმოებოდა, ვიდრე კახეთის რეგიონში (გელაშვილი, 1961). იმერეთის რეგიონში გავრცელებულია ისეთი განსაკუთრებული ვაზის ჯიშები, როგორცაა: ციცქა, ცოლიკოური, კრახუნა, მელშავი, ოცხანური საფერა, და ა.შ.

დღევანდელი მდგომარეობით კი სიტუაცია რადიკალურად შეცვლილია, კერძოდ, საქართველოს ღვინის წარმოებაში იმერეთის წვლილი საკმაოდ დაბალია. გავრცელებული ჯიშებისგან დამზადებული ღვინის მაღალი ხარისხის მიუხედავად, იმერეთში წარმოებული ღვინო მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი გამოიყენება საექსპორტოდ. ნაკლებია ღვინის პოპულარობა ქვეყნის შიგნითაც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2019 წლის იანვარ-მარტში ყურძნის ნატურალი ღვინოების ექსპორტს მე-5 ადგილი უჭირავს უმსხილესი სასაქონლო ჯგუფების საექსპორტო ბადეში. ქვეყანა განვითარების გზაზე დგას, ექსპორტი იზრდება, ცნობადობა და აღიარება ქართულ ღვინოს დღითიდღე ემატება. მე მიმაჩნია, რომ იმერეთის რეგიონს უდიდესი პოტენციალი გააჩნია ღვინის წარმოების დარგში. ჰავის, ნიადაგისა და ბუნების კონსტრასტი განსხვავებულ, ჰარმონიით, სილადით და სიხალისით შედგენილ ღვინოებს ქმნის, მაგრამ სამწუხაროდ არ არის სათანადო დაფასება, აღიარება და ცნობადობა, არც ქვეყნის მასშტაბით და არც საზღვრებს მიღმა. მსურს ჩემმა ნაშრომმა ხელიშეუწყოს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას ამ რეგიონში, სოციალური მზაობისა და ჩართულობის გაძლიერებას აღნიშნულ სფეროში. სწორედ ეს ფაქტორები და გენეტიკური სიყვარული იმერეთის მიმართ

განაპირობებს ჩემი ამ თემით დაინტერესებას და მუშაობას ერთობ ხალისით და სიყვარულით.

ნაშრომის მიზანია: მევენახეობა-მელვინეობის სოციალური და ეკონომიკური ფონის შესწავლა იმერეთის რეგიონში, რაც შემდეგში მდგომარეობს: როგორია სოციალური განწყობა ამ დარგის მიმართ? რა დახმარებას უწევს ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლება დარგს განსავითარებლად?. გეოგრაფიულ ჭრილში დანახვა არსებული დარგის, შეფასება და საუბარი პერსპექტივებზე.

ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები. კვლევა მოიცავს რამდენიმე საკითხის შესწავლის შესაძლებლობას, კვლევის პროცესში განვახორციელე სხვადასხვა სპეციფიკური საკითხების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების ანალიზი და შევეცადე დეტალური შეფასება მეწარმოებია. ჩემ საკვლევ ობიექტად შევარჩიე იმერეთის მხარის სამი მუნიციპალიტეტი, სადაც ყველაზე კარგად არის განვითარებული მევენახეობა-მელვინეობის ინდუსტრია:

- ბაღდათი
- ზესტაფონი
- თერჯოლა

ანალიზისთვის ძირითადად გამოვიყენე: ლიტერატურა, რომელიც მოვიძიე ბიბლიოთეკებში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ღვინის ეროვნული სააგენტო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაცია. ჩავატარე ინტერვიუები ისეთ პირებთან რომლებიც, მოცემულ თემასთან დაკავშირებით უშუალოდ ფლობენ ინფორმაციას. რესპოდენტები გახლდათ: სხვადასხვა ზომის ფერმერები, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა სამსახურის (სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, ტურიზმი) თანამშრომლები, მოცემულ სამ მუნიციპალიტეტებში ღვინის ქარხნების წარმომადგენლები,

სანერგე მეურნეობები, აგრო-სამრეწველო მაღაზიები, რომლებიც ყიდიან პესტიციდებს, სასუქებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და ა.შ. კვლევა მიზნად ისახავს, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შერჩეული ობიექტების დამოკიდებულებისა და სენისტიურობის შკალის გამოვლენას.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე გამოწვევებზე, ტექნოლოგიური სიახლეებზე, საერთაშორისო თუ ადგილობრივ ბაზარზე, ინფორმაცია ლიტერატურაში ძალიან მწირია. შემოდგომა ისიც ვთქვა, რომ დამწყები ფერმერისთვის არ არსებობს კონკრეტული სახელმძღვანელო ნერგის დარგვიდან-ღვინის გაყიდვამდე, თავმოყრილი იყოს ყველა ის გამოწვევა, რასაც ფერმერი წაასწყდება. ლიტერატურას, რომელსაც მე ამ ნაშრომზე მუშაობის დროს გავეცანი ძირითადი ნაწილი შედგენილია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე. ჩემი ყველა დიდი გულისწყრომა გამოიწვია სამთავრობო სტრუქტურებში სტატისტიკური ინფორმაციის არ არსებობამ იმერული ღვინის შესახებ. სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში და ღვინის ეროვნულ სააგენტოში არ გააჩნიათ ინფორმაცია, თუ რა რაოდენობის ღვინო იწარმოება იმერეთში, მოკლედ რომ ვთქვათ ქართული ღვინის წარმოებაში, იმერული ღვინის სეგმენტი, როგორც ასეთი არ არსებობს. ჩემი მოწონება პატივისცემა დაიმსახურა კვლევამ, რომელიც ჩატარდა 2013-2014 წლებში, ჩეხეთის უნივერსიტეტის, საქველმოქმედო

ჰუმანიტარული ორგანიზაცია „people in need“-ის და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ერთობლივი თანამშრომლობით. (<http://www.economists.ge/>)

დიდი დახმარება გამიწია ივანე ჯავახიშვილის წიგნმა - „თხზულებანი თორმეტ ტომად“, ტომი V, თბილისი 1986, მასში მოცემულია ყურძნის თეთრი და წითელი ჯიშები, ღვინის დაყენების ტექნიკა, დამწიფების პერიოდულობა და ა.შ.

ვრცელი და დღემდე თითქმის შეუცვლელია ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები N4 (83), ტომი XIII, მასში ასე თუ ისე განხილულია იმერული ჯიშის ღვინოები, მისი დადებითი თვისებები, ის რაიონები სადაც კონკრეტულად ესა თუ ის ჯიშის ღვინოა გავრცელებული, ასევე ის ბუნებრივი პირობები, რომელიც მევენახეობის განვითარებისთვისაა ხელსაყრელი. ასევე, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტომი IV. თბილისი, მეცნიერებთა აკადემია, 1973, 1102 გვ

ქართული ამპელეოგრაფიის დიდი მონაპოვარია ნ.კეცხოველის, მ.რამიშვილის და დ.ტაბიძის გამოქვეყნებული „საქართველოს ამპელეოგრაფია“ (1960) აქ ფართოდაა განხილული საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიული წარსული, დარაიონება, გარემო-ეკონომიკური ფაქტორების დახასიათება და სხვა მრავალი.

„საქართველოს კულტურული ვაზის კლასიფიკაცია“ ნ.ცერცვაძე (1989), რომელშიც დადგენილია ქართული ვაზის ჯიშების ეკოლოგიურ-გეოგრაფიული ჯგუფის ფარგლებში მორფოლოგიურ ნიშანთა და ბიოლოგიურ თვისებათა კავშირები, რამაც დიდი დახმარება გამიწია იმერეთის რეგიონში გავრცელებული გავრცელებულ ვაზთა შესწავლაში.

საკმაოდ ბევრი ინფორმაცია ჩემს მიერ ზემოთ აღნიშნული კვლევიდან - „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთისა და რაჭის რეგიონებში, 2013“ სადაც მოცემულია იმერული ღვინის ფასები, ის ქვეყნები, სადაც ქართული ღვინო გადის, ყურძნის წარმოება საქართველოს რეგიონების მიხედვით და სხვა სტატისტიკური მონაცემები.

სტატისტიკური მონაცემები, როგორცაა ვენახების საერთო ფართობი, ვაზის ძირთა რაოდენობა, იმერეთში გავრცელებული ვაზის ჯიშები, მათი მოსავლიანობა, 2017, 2018 და 2019 წლის პირველ კვარტალში ექსპორტზე გასული ქართული ღვინის რაოდენობა, მოვიპოვე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან და ღვინის ეროვნული სააგენტოდან.

3. საქართველო-ღვინის სამშობლო

საქართველო, არა მხოლოდ იმერეთი, გამოირჩევა რელიეფის, კლიმატური პირობების, ჰავის და ნიადაგის მრავალფეროვნებით, რაც განსაზღვრავს ვაზის უნიკალურ ჯიშთა სიმრავლეს. ქვეყანამ საუკუნეების განმავლობაში, თაობიდან თაობას გადასცა მშრალი, ტკბილი, ნახევრად ტკბილი, სადესერტო და ცქრიალია, იმერული თუ კახური ტიპის ღვინოების დამზადების ტექნოლოგიები და ხერხები. ის ფაქტი, რომ საქართველო ვაზის და ღვინის სამშობლოა, მრავალი მეცნიერი, არქეოლოგი თუ ამპელოგრაფი ამტკიცებს მოცემულ ფაქტს თავისი კვლევების მასშტაბით. ეგ ყოველივე უამრავ ჟურნალისტს, ღვინის მკვლევარს თუ უბრალო ტურისტს დიდი ინტერესს უჩენს ჩვენი ქვეყნის მიმართ. სხვადასხვა ქვეყნებში, ღვინის საერთაშორისო ფესტივალებზე, სიმპოზიუმებზე, სადღესასწაულო ადგილებზე, ქართული ღვინის კუთხე წარმოდგენილია დასათაურებით: „საქართველო-ღვინის სამშობლო“.

საქართველო ითვლება ვაზის წარმოშობის ერთ–ერთ პირველ კერად. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან მოხდა კულტურული ვაზი გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის აუზში, ახლო აღმოსავლეთსა და ბოლოს ამერიკაში. ყურძნის წიპწები აღმოჩენილია ირანში, თურქეთში, სირიაში, ლიბანსა და იორდანიაში. თუმცა, ქართული მასალების ასაკი და სახეობათა სრულყოფილება ნათლად მოწმობს, რომ საქართველოში ვაზის მოშენებისა და ღვინის დამზადება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 6000 წლის წინ ან უფრო ადრე იყო. (რამიშვილი;რ.2000) საქართველოში ვაზის ხანგრძლივი კულტივირების დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს თესლების არქეოლოგიური ნარჩენები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივმა ექსპედიციამ საქართველოს ტერიტორიაზე ნეოლითური ხანის ძეგლების კვლევა XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. (საქართველოს ეროვნული მუზეუმი) კვლევა-ძიებითი სამუშაოები დღემდე გრძელდება, რომელსაც აქტიური მხარდამჭერები გამოუჩნდა: ტორონტოს უნივერსიტეტი, ღვინის ეროვნული სააგენტო და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

პროფესორ პატრიკ მაკგოვერნის ხელმძღვანელობით ჩატარდა ბიომოლეკულური კვლევა, მარნეულის მუნიციპალიტეტში მდებარე ნეოლითის პერიოდის „გადაჭრილი გორის“ და „შუალევის გორის“ არქეოლოგიურ ძეგლზე გათხრების დროს აღმოჩენილ თიხის ჭურჭლზე. კვლევამ დაადასტურა, თიხის ჭურჭლის კედლებზე ღვინისათვის დამახასიათებელი ორგანული მჟავების არსებობა, რაც *vitis vinifera*-ს ვაზის ჯიშებისგან დამზადებული ღვინის ნიმუშია. (www.nationalgeographic.ge) ქართველი მეცნიერების ელისო ყვავაძისა და ნანა რუსიაშვილის პალეობოტანიკურმა კვლევებმა ცხადყო, ადრეული ნეოლითის ხანაში ამ რეგიონში ვაზის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული. (www.nationalgeographic.ge) მილანის უნივერსიტეტის მკვლევარმა ოსვალდო ფაილამ თავის გუნდთან ერთად შეძლო აღედგია ძვ.წ. VI ათასწლეულის კლიმატი და დაადასტურა, რომ ქვემო ქართლში 8000 წლის წინ ვაზის კულტივირებისთვის შესაბამისი პირობები იყო. ისრაელში ვაისმანის ინსტიტუტში ელიზაბეტა ბოარეტოს ხელმძღვანელობით განხორციელდა ლაბორატორიული კვლევა და ნიმუშის ასაკი განისაზღვრა ძვ.წ. 6000-5800 წლებით, რაც 600 წლის უფრო ძველია ვიდრე აქამდე უძველესად მიჩნეული ღვინის კვალი ირანიდან.

(ზარგოსის მთიანეთი). ეგ გახლავთ ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევა და კიდევ ერთხელ დასტური, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა.(www.nationalgeographic.ge)

აღნიშნული მეცნიერების დასკვნა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოიქცა, აშშ-ს მეცნიერება ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში (PNAS) „Early Neolithic Wine of Georgia in the south Caucasus“ („საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან“) სადაც საუბარია ამ კვლევის შესახებ. ასევე არაერთი სტატია დაიბეჭდა მსოლიო წამყვან საინფორმაციო თუ მეცნიერულ გამოცემებში(BBC, CNN, National Geographic, Washingtonpost, The New York Times და ა.შ.).¹ (www.nationalgeographic.ge)

ამრიგად, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება თანხმდება, რომ მეღვინეობის უძველესი კვალი სწორედ საქართველოს ტერიტორიიდან მოდის, ის შემდეგ ვრცელდება მსოფლიოში და რომელიც უამრავი სიკეთის მომტანია ცივილიზაციის განვითარებისთვის. უძველესი ღვინის აღმოჩენის ფაქტი შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში. „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“-იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში. (www.nationalgeographic.ge)

4. იმერული მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიული მიმოხილვა

მსოფლიოში 4000-ზე მეტი სახეობის ვაზის არსებობს. მსოფლიოში მევენახეობის განვითარების ცენტრის არსებობს და მათ შორის განსაკუთრებულია საქართველო, რადგან ჩვენი ქვეყანა კულტურული ვაზის და მეღვინეობის კერად ითვლება. საქართველოში აღმოჩენილია 525 ადგილობრივი ჯიში ანუ მსოფლიოში გავრცელებული ჯიშების 8,3%. ეს ჯიშები გახლავთ ისტორიულ წარსულში აღმოცენებული და არა სელექციის კუთხით გამოყვანილი. (ღვინის ეროვნული სააგეტო)

ისტორიული წყაროებში ჩანაწერებს ქართული ღვინის წარმოების შესახებ წავაწყდებით: ჰომეროსის, აპოლონ როდოსელის, ქსენოფორტეს და სტრაბონის ნაწარმოებებში, სადაც

¹ <https://www.nationalgeographic.ge/wm.php?page=announcements&id=12>

საუბარია, თუ რაოდენ დიდი კულტურა გააჩნდათ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს.

ქვეყნის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა სოფლის მეურნეობა გახლდათ და კერძოთ მევენახეობა-მელვინეობა. ხსენებული ფაქტის შესახებ მტერიც ინფორმირებული იყო და ცდილობდა ექსპანსიასთან ერთად ვენეხებიც გაეჩეხა, რათა დიდი დარტყმა მიეყენებია ქვეყნის განვითარების პროცესისთვის.

XVI საუკუნეში სამეგრელოსა და გურიის სამთავროებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ქვეყნის ერთიანობა ჩამოიშალა, დასავლეთ საქართველოს ეკონომიკისა რეგრესისკენ წავიდა. მიუხედავად ამისა, იმერეთის რეგიონში მე-17 საუკუნის შუა პერიოდში ვენეხებს საკმაოდ დიდი ფართობი ექირა. არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა მე-18 საუკუნის შუა პერიოდში, მიზანშეწონილია დაბლარი ვენახების გაშენება დარგის უკეთ გასავითარებლად, მაგრამ იმერეთში მხოლოდ ცალკეულ ადგილებში გვხვდება. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით ასეთი ტიპის ვენახები თანამედროვე შუა იმერეთსა და ზემო იმერეთის ქვედა მხარეში წავაწყდებოდით. დანარჩენ ტერიტორიაზე ძირითადად მაღლარს ვხვდებით, ეს უკანასკნელი ბუნებრივად თხელ ტყეებში და ტყის პირებში გვხვდებოდა ინტენსიურად, ხოლო კარმიდამოსთან ახლოს შერეული ნარგავებიც უნდა ყოფილიყო. დღევანდელი შუა და ზემო იმერეთის მევენახეობას, იმ პერიოდისთვის, როგორც ჩანს, ადგილობრივი მოხმარების დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს ღვინო ყველგან „მსუბუქი, მხნე და გემოიანი“ დგებოდა. (ბატონიშვილი ვ. 1904)

XIX-XX საუკუნეებში იმერეთის და სრულიად საქართველოს მევენახეობა-მელვინეობა რუსეთის იმპერიის მიზნებს ემსახურებოდა. 1820-1824 წლებში საქართველოში იმოგზაურა ევროპელი მკვლევარმა ჟაკ ფრანსუა გამბამ, რომლემაც მთელი საქართველო შემოიარა და მშვიდნელოვანი მასალები მოიპოვა, მისი მოწონება იმერეთში დაიმსახურა მეფე სოლომონ მეორეს ბაღ-ვენახებმა, რომელიც რუსეთის იმპერიის არასწორ პოლიტიკამ განადგურების პირზე ჰყავდა მიყვანილი. თავდაპირველად მაღლარები ველურ ვაზებში აერია, მიუხედავად ამისა მოგზაური აღნიშნავს ვაზთა სიმრავლეს იმერეთის რეგიონში. ის გლეხებს ღვინის დაყენების ტექნოლოგიურ მხარეს უწუნებს და თვლის, რომ ამ პრობლემის აღმოფხვრა, მნიშვნელოვან საექსპორტო საგნად აქცევს ადგილობრივ ღვინოებს. (რამიშვილი რ. 2000)

მე-19 საუკუნის შუა ნახევარში იმერეთი და სრულიად საქართველოს მევენახეობა ახალი გამოწვევის წინაშე დგება, სოკოვანი დაავადება ოიდიუმი ანუ ნაცარი. 80-იან წლებში ახალი სოკოვანი დაავადება მილდიუს ანუ ჭრაქი და მავნებელი ფილოქსერა. რომელიც სწრაფი ტემპებით ანადგურებს ისედაც დაუძღვრებულ მევენახეობას იმერეთში. სამივე დაავადების სამშობლო ამერიკა გახლდათ და საქართველოში ევროპის გავლით მოხვდა. ფილოქსერისა და სოკოვან დაავადებასთან ბრძოლამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხასიათი მიიღო ევროპაშიც და რუსეთის იმპერიაში. 1889 წელს ქუთაისის გუბერნიაში სპეციალურმა ჯგუფმა ვ.გეევსკის ხელმძღვანელობით დიდი ღონისძიებები ჩაატარა მავნებელთა საწინააღმდეგოდ.(რამიშვილი რ. 2000)

ქიმიური პრეპარატებით ბროლა არ იძლეოდა მავნებელთა განადგურების გარატიას და მეცნიერებმა მიმართეს ჰიბრიდაციის მეთოდს. ხანგრძლივი სელექციის შედეგად ამ ჰიბრიდებიდან გამოარჩიეს პრაქტიკულად გამოსადეგი საძირეები. 1890 წელს ზესტაფონის მახლობლად სპეციალური საცდელი სადგური გაიხსნა სადაც გამოჰყავდათ ამერიკული სადედე ძირები. გამოყვანილ ძირებზე დამყნობილი აბორიგენული ჯიშები მეტად გამძლე იყვნენ ნაცარზე, ჭრაქზე და ფილოქსერაზე, ასეთმა ინტენსიურმა საქმიანობამ XIX საუკუნეში შეინარჩუნა იმერული ვაზის გენოფონდი.(რცხილაძე ი. 1956)

ჩემ ნაშრომში მინდა შევეხო მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწეს დოქტორ გიორგი ბოლქვაძეს, რომელი გახლდათ საქართველოში კონიაკის კლასიკური ტექნოლოგიის ფუძემდებელი, მისი სურვილი გახლდათ მაგარი სასმელების წარმოება გათანაბრებულიყო ევროპულ ხარისხთან, ამ მიზნით ქალაქ ქუთაისში 1865 წელს აარსებს ამიერკავკასიაში პირველ არყის სახდელ ქარხანას, სადაც მრავალფეროვან ასორტიმენტის პროდუქციას უშვებს, როგორცაა: ლიქიორი სამი სახეობის, ორი სახეობის რომი, ცხრა სახეობის სპირტი, მაღალი ხარისხის სამეფო არაყი და პირველმა, ფრანგული ტექნოლოგიით ქართული კონიაკის წარმოება. პროდუქციამ საკმაოდ დიდი აღიარება ჰპოვა მსოფლიო მასშტაბით.

XX საუკუნის დასაწყისში გამოწვევები იგივეა. სოკოვანი დაავადებები და მავნებელი. ზესტაფონთან მდებარე ამერიკული სანერგე მეურნეობა ძალას იკრებს, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობიდან წმინდა პრაქტიკული საქმიანობით კავდება. დაიწყო ამერიკული მავნებელ გამძლე საძირეების ფართო პროპაგანდა, ცალკეულ სოფლებში ეწყობოდა

საჩვენებელი ნაკვეთები. მოსახლეობაში დიდი დაინტერესება გამოიწვია და თამამად ნერგავდნენ საკუთარ მამულებში, ის ფაქტორიც გასათვალისწინებელია, რომ ამერიკულ სამირეზე დამყნობილი ვაზიდან უხვი და ხარისხიანი მოსავალის მიღება შეიძლებოდა. სანერგე მეურნეობაში მოღვაწე კ.გორაევი საინტერესო მონაცემს გვაწვდის, 1908 წლისთვის იმერეთის ტერიტორიაზე ვენახავი თითქმის 50% ნამყენ მევენახეობაზე იყო გადასული.

საქართველოს ეკონომიკა, როგორც მოგეხსენებათ ამ პერიოდისთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთთან. იმ დროინდელმა მოვლენებმა, პირველი მსოფლიო ომი, 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ, რომელსაც ოქტომბრის გადატრიალება მოჰყვა. სრულიად ჩაიკეტა რუსეთის ბაზარი, რუსეთის იმპერიიდან შეწყდა ვაზის განვითარებისკენ მიმართული ყველა სახის მხარდაჭერა, საკმაოდ დაასუსტა სოფლის მეურნეობა და განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობა იმერეთის რეგიონში. ნანატრმა, მოკლევადიანმა თავისუფლებამ, ეცადა განვითარებია ქვეყნისთვის ესოდენ სტრატეგიული სფერო მევენახეობა-მეღვინეობა, მაგრამ სამწუხაროდ არ დასცალდა.

საბჭოთა რეჟიმის დამყარების მომენტიდან, სრულიად საქართველოს და მათ შორის იმერეთის სამრეწველო მეღვინეობა, სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების ხელში მოექცა. „სამტრესტი“ და კოოპერატიული მეღვინეობის ორგანიზაცია „იმერეთი“, განაგებდა და პატრონაჟს უწევდა მევენახეობა-მეღვინეობის ყველა ციკლს. ნელი ტემპებით, მაგრამ ფართობები ვაზისა და ღვინო წარმოება იმერეთში ვითარება 1940 წლამდე, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ძალიან ცუდი ვითარება იყო თითქმის განადგურების პირას მივიდა ვაზი იმერეთში. 1955 წლიდან კვლავ დაიწყო მევენახეობამ აღორძინება. საბჭოთა მართველობის პერიოდში საქართველოდან ღვინისა და ყურძნის ექსპორტით იმერეთი კახეთის შემდეგ მეორე ადგილს იკავებდა. ავბედითი 90-იანი წლები, სადაც გაიძარცვა და განადგურდა ღვინის გადამამუშავებელი ქარხნები, დაიშალა კოლექტიური მეურნეობები, სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩენილ ქართველი კაცს თავის ოჯახში სამყოფ ღვინოსაც ძლივს აწარმოებდა. ეკონომიკის სხვა დანარჩენ დარგებთან ერთად მევენახეობა-მეღვინეობა ძლიერ დაუძლურდა. (რცხილაძე ტ. 1954)

შევაჯამოთ XIX-XX საუკუნის გამოწვევები. ნაცარი, ჭრაქი, მავნებელი ფილოქსერა. მოკლედ რომ ვთქვათ ბეწვის ხიდზე გაირა იმერული ვაზის გენოფონდმა, დღესაც გამოწვევად რჩება,

მაგრამ ქიმიური პრეპარატებით შესაძლებელია ბრძოლა. საშინაო და საგარეო არასტაბილური სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობა. არ შემოდის, არ ავლნიშნო, ბოლო წლებში მავნებელ აზიური ფაროსანას სიმრავლე, რომელიც დიდ ზიანს აყენებს სიმწიფეში შესულ ყურძენს. სახელმწიფო დონეზეა ეგ საკითხი აყვანილი და მიდის აქტიური ბრძოლა სხვადასხვა საშუალებებით და იმედს ვიქონიებ წარმატებულად მოხდება ამ გამოწვევის დამარცხებაც.

ბოლოსკენ კი, მსურს წარმოგდიდგინოთ მეტი მრავალფეროვნებისთვის და ამ მონაკვეთის უკეთ გასაიაზრებლად სტატისტიკური ნომაცემები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სპეციალური მიმართვის მეშვეობით მიღებული.

ცხრილი N1: იმერეთის რეგიონში ვენახების ფართობი და პროცენტული წილი ქვეყნის მასშტაბით 1879, 1953. 1990 წლის აღწერის მიხედვით:²

1879 წლის აღწერა		1953 წლის აღწერა		1990 წლის აღწერა	
ფართობი (ჰა)	%-ული წილი საქართველოს მასშტაბით	ფართობი (ჰა)	%-ული წილი საქართველოს მასშტაბით	ფართობი (ჰა)	%-ული წილი საქართველოს მასშტაბით
21331,3	30,34	17770,75	34,03	19064,8	16,50

5. იმერეთის რეგიონის ზოგადი დახასიათება

იმერეთის სამხარეო საკუნსულტაციო საბჭოს მიერ 2014 წელს შემუშავებული დოკუმენტის თანახმად. გთავაზობთ რეგიონის ზოგად-ფიზიკურ გეოგრაფიულ დახასიათებას. „იმერეთის რეგიონი საქართველოს ცენტრალური ნაწილია, იგი დასავლეთ საქართველოს სამხრეთ-

² საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური, <https://www.geostat.ge>

აღმოსავლეთით მდებარეობს. საქართველოს სხვა რეგიონებს შორის იმერეთის რეგიონი ტერიტორიის სიდიდის მიხედვით მესამეა სამეგრელო-ზემო სვანეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის შემდეგ. მისი ფართობი 6518,8 კვ.მ-ია დასაქართველოს ტერიტორიის 19,4%-ს შეადგენს. მოსახლეობის მიხედვით კი რეგიონს პირველი ადგილი უჭირავს, მისი მოსახლეობა 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით 703,3 ათას კაცს შეადგენს, რაც საქართველოს მოსახლეობის 15,7%-ია. ათასს. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კმ²-ზე 108 კაცია. რელიეფური მრავალფეროვნების გამო, იმერეთი პირობითად იყოფა ზემო და ქვემო იმერეთად, რომელიც აერთიანებს 12 ტერიტორიულ ერთეულს: ქალაქ ქუთაისს, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ხარაგაულის, ხონის, წყალტუბოსა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებს. რეგიონში შედის 12 ქალაქი, 3 დაბა და 529 სოფელი. იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი არის ქალაქი ქუთაისი. იმერეთი ძირითადად მდებარეობს ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ოლქში. აღსანიშნავია, რომა მხარის დაბალმთიან და საშუალომთიან ზონებში ზღვის გავლენა შესუსტებულია, მაგრამ დამახასიათებელია ნოტიო კლიმატი. აქ ზამთარი ცივია, ზაფხული კი შედარებით მშრალი და ცხელია. იანვრის თვის ტემპერატურა საშუალოდ +2°C - +5°C მეტყეობს, ხოლო ზაფხულის მაქსიმალური ტემპერატურები 25-30°C უჭირავს, რომელიც ძირითადად მთაგორიან ლანდშაპტზეა განფენილი, მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 2850 მეტრია. რეგიონი მდებარეობს სატრანსპორტო მაგისტრალის გასწვრივ და საზღვაო პორტებთან ახლოს (ბათუმი-130კმ, ფოთი-102კმ). ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტიდან 15 კმ-ში მდებარეობს დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტი. ამჟამად იმერეთში 100-ზე მეტი მინერალურ-სანედილეულო რესურსების საბადოა აღრიცხული. რეგიონში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია მძლავრი ენერგეტიკული ბაზის ჩამოსაყალიბებლად ასევე იმერეთის რეგიონს აქვს ძალიან დიდი პოტენციალი ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებისთვის. ატურა +38°C, +40°C. ნალექების რაოდენობა 1300-1800 მმ-ია. ნალექიან დღეთა რიცხვის საშუალოდ წელიწადში 150-ს შეადგენს. რეგიონი ფლორითა და ფაუნით მდიდარია. მის ტერიტორიაზე ტყის მასივებს 250 000 ჰა უჭირავს“ (იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021; 2014; გვ.3)

6. მევენახეობა-მელვინეობის განვითარების ტერიტორიული

თავისებურებები

იმერეთი, მელვინეობის განვითარების ინდუსტრიით საქართველოში მეორე ადგილს იკავებს კახეთის რეგიონის შემდეგ. სულ, რაღაც 2 საუკუნის წინ იმერეთი ლიდერობდა ღვინის წარმოების განხრით. საქართველოსთვის, იმერეთი ყოველთვის იყო და დარჩება ერთ-ერთი უმთავრესი მევენახეობა-მელვინეობის კერად, რადგან აქ წარმოებული პროდუქცია განსაკუთრებული ხარისხის მარკას ატარებს. იმერეთში მრავალ საუკუნოვანი ხალხური ტრადიციების საფუძველზე შექმნილია იმერული ტიპის ღვინის დაყენების ორიგინალური ტექნოლოგია, რომლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუღილი წარმოებს მიწაში ჩაფლულ ჭურებში დურდოზე (ჭაჭა – კლერტის გარეშე), რომელიც მთელი მადუღარი მასის 4-6%-ს შეადგენს. დადუღების შემდეგ ღვინომასალას ჭურში აყოვნებენ 1,5-2 თვით, შემდეგ ხსნიან დურდოდან, გადააქვთ კასრებში და შემდგომი მოვლა-დამუშავება არსებული ინსტრუქციით გრძელდება. ასეთი წესით დაყენებული ღვინო ევროპული ტიპის ღვინოსთან შედარებით უფრო ექსტრაქტული და სხეულიანია, ამავე დროს მსუბუქია, ჰარმონიული და გემოთი გასაოცარი.

მევენახეობა-მელვინეობის პოტენციალის უკეთ შესასწავლათ მეცნიერთა ნაწილი პირობითად იმერეთს ყოფენ სამ ზონად: ზემო, შუა და ქვემო იმერეთი. ვენახები იმერეთში ძირითადად გაშენებულია მდინარეების - რიონის, ყვირილას, ჩხერიმელას, ძირულას და მათი შენაკადების ხეობებში, ზღვის დონიდან 50-500 მეტრ სიმაღლემდე.(გელაშვილის; ნ. 1961) ჰავა, როგორც ავღნიშნეთ საკმაოდ ნოტიოა, ზომიერად ცივი, თოვლიანი ზამთრითა და მშრალი, ზოგჯერ გვალვიანი, ცხელი ზაფხულით. ატმოსფერული ნალექების ჯამი 1300-1800 მმ ფარგლებშია, მზის ნათების ხანგრძლივობა კი 1200-2100 საათს შეადგენს. (იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021)

ზემო იმერეთი მდებარეობს იმერეთის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, კოლხეთის დაბლობის გაგრძელებაზე. იგი წარმოადგენს პლატოს, ძირითადად, 500 მ აბსოლუტურ სიმაღლეებზე. ძირულა-ყვირილას შუამდინარეთში მისი სიმაღლე კლებულობს ჩრდილო-

დასავლური მიმართულებით. ზემო იმერეთის პლატო არაერთგვაროვანია და მასზე წარმოდგენილია რელიეფის ორი, გენეტიკურად და მორფოლოგიურად განსხვავებული ტიპი. ზემო იმერეთის პლატოს ჰიდროგრაფიული ქსელი წარმოდგენილია მდინარე ყვირილას განტოტვილი სისტემით. რეგიონის ძირითად ნაწილს რწყავენ: ყვირილა, ძირულა და ჩხერიმელა, მათი მრავალი შენაკადით, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია მდინარეებია: სამალიხევი, გეზრულა, დუმალა და სხვ. რაჭის ქედიდან ჩამომდინარე ძუსა, ბუჯა, კაცხურა, ჯრუჭულა და ლიხის ქედიდან - ღვიგზა, რიკოთულა და სხვ. აქ მზის ნათების ხანგრძლივობა საკმაოდ მაღალია და საშუალო წლიური სიდიდე ტერიტორიულად იცვლება 2100 – 2300 საათს შორის. მევენახეობა ზემო იმერეთში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული დარგია. აქ გავრცელებულ ვაზის ჯიშებს შორის აღსანიშნავია: ცოლიკაური, ციცქა, ძველშავი, გორული მწვანე (ქვიშხური), ალიგოტე, პინო და სხვა. ცქრიალა ღვინოებისთვის აქ ძირითადად იყენებენ ადგილობრივ ჯიშებიდან: ციცქას, ძველშავს და გორულ მწვანეს (ქვიშხური); შემოტანილი ჯიშებიდან: ალიგოტეს, პინოს (შავი, თეთრი) და შარდონეს. (გელაშვილის; ნ. 1961)

ზემო იმერეთში მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღებას ძირითადად განაპირობებს ნიადაგურ-კლიმატური პირობების თავისებურება; მათ შორის, შედარებით გრილი და ზომიერად ნოტიო ამინდის პირობები. ცოლიკაურის, ციცქასა და გორულ მწვანესგან მზადდება მაღალხარისხოვანი ევროპული ტიპის სუფრის ღვინოები. მინდა ავღნიშნო გორული მწვანეს, რადგან წარმოშობა მას შიდა ქართლიდან აქვს და საკმაოდ კარგად შეეგუა ზემო იმერეთში არსებულ ნიადაგს და გავრცელების დასაშვები სიმაღლე 800 მ-ია. ციცქასა და გორული მწვანეს გარდა, გავრცელებულია მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ადგილობრივი ძველშავი, საფრანგეთიდან შემოტანილი ალიგოტე, პინო და შარდონე. აქედან გამომდინარე ზემო იმერეთს გააჩნია სათანადო კლიმატურ-ნიადაგური შესაძლებლობები, რომ შიდა ქართლთან ერთად, ჩვენი ქვეყნისთვის ცქრიალა ღვინომასალის წარმოების სასაფუძვლო ბაზად იქცეს. (გელაშვილის; ნ. 1961)

შუა იმერეთი მევენახეობა-მეღვინეობის ძირითად ზონად ითვლება დასავლეთ საქართველოში. ვენახები ამ მიკრორაიონში გაშენებულია ზღვის დონიდან 140-470 მეტრის სიმაღლეზე. ადგილობრივი ვაზის: ციცქას, ცოლიკაურის, ალადასტურის, კრახუნას,

მელშავისა და სხვა ჯიშების ყურძნისაგან მზადდება: წარმოშობის ადგილის და ჯიშობრივი დასახელების, უმაღლესი ხარისხის, ორიგინალური, სუფრის თეთრი, წითელი და ვარდისფერი ღვინოები. (გელაშვილის; ნ. 1961)

ქვემო იმერეთი მოქცეულია იმერეთის დასავლეთ ნაწილში, მდინარე რიონის აუზში. აქ ვენახები გაშენებულია ზღვის დონიდან 40-420 მეტრის სიმაღლეზე. მეღვინეობის თვალსაზრისით ეს ზონა ორდინალური ღვინოების ზონაა, სადაც ცალკეულ უბნებში მზადდება ხარისხოვანი ღვინოები ადგილობრივი ვაზის ჯიშებისაგან. ქუთაისისა და ნაწილობრივ ტყიბულის რაიონებში მევენახეობა საუკეთესო სუფრის ღვინის ნედლეულს იძლევა, ხოლო ქვემო იმერეთის დანარჩენ რაიონებში - ორდინარული ღვინის ნედლეულს. (გელაშვილის; ნ. 1961)

ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობა ქვემო იმერეთში მეტად მრავალფეროვანია, მაგრამ ფართო გავრცელება და სამრეწველო მნიშვნელობა რამდენიმე ჯიშს აქვს. ყველაზე გავრცელებული ვაზის ჯიშია ცოლიკაური, ციცქა და კრახუნა. დანარჩენი ჯიშებიდან აღსანიშნავია: დონდლაბი, ძველშავი, მაგალობლიშვილი, ალექსანდროული, გორული მწვანე, ოცხანური საფერე, ოჯალეში და სხვ. ეს ჯიშები მაღალხარისხოვან ევროპული ტიპის იმერულ სუფრის ღვინოებს იძლევიან. ცოლიკოური გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით, პროდუქციის კარგი ხარისხით, სოკოვან დაავადებათა და მავნებლების მიმართ შედარებით უფრო მეტი გამძლეობით. ამით აიხსნება მისი ფართო გავრცელება.

მევენახეობა ქვემო და შუა იმერეთში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და შემოსავლიანი დარგია. მას ძირითადად მეღვინეობის მიმართულება აქვს. მევენახეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში. ბაღდათის, თერჯოლისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში, მევენახეობა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია და შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ეს სამი რაიონი მაღალი ხარისხის სუფრის ღვინოსა და შამპანურის მასალის ზონაა.

მევენახეობის აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორს მოსავლიანობის გაზრდისთვის მინერალური და ადგილობრივი სასუქების სწორად

გამოყენება წარმოადგენს. ქვემო იმერეთში ნიადაგების მეტი ნაწილი ღარიბია ორგანული და მინერალური ნივთიერებებით და საჭიროებს ორგანო-მინერალური სასუქების შეტანას.

რაიონებს შორის ვენახის ფართობი ყველაზე მეტი ბაღდათის რაიონშია. აქ ვენახები გვხვდება როგორც ვაკე, ასევე მთის ფერდობებზე. გავრცელებული ჯიშებია: ცოლიკაური, ციცქა, ძველშავი, კრახუნა, ოცხანური საფერე, დონდლაბი და სხვ. ამ ჯიშებს შორის ყველაზე მეტი ფართობი ცოლიკაურს უჭირავს (80%-ზე მეტი), შემდეგ ძველშავს და ციცქას. ციცქა მეტ შემოსავალს იძლევა, მაღალი ხარისხის ჯიშია, განვითარების პერსპექტივაც აქვს, მაგრამ ის უფრო ნაზი ვაზია, მეტ მოვლას მოითხოვს და ამის გამო არ არის ფართოდ გავრცელებული.

ღვინის ხარისხით უკეთესი მაჩვენებელი იმ ვენახებს აქვს, რომლებიც მთის ფერდობებზე მდებარეობენ, მოსავლიანობით კი ვაკე ადგილებში განლაგებული ვენახები გამოირჩევიან.

მევენახეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონებს. თერჯოლის რაიონში ვენახები განლაგებულია ძირითადად სხვადასხვა სახის ნემომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში კი ძირითადად ალუვიულია.

თერჯოლის რაიონი შამპანურის მევენახეობის ზონად ითვლება. აქ ვენახების მთელი ფართობის 60%-ზე მეტი ციცქაზე მოდის, ცოლიკოურსაც საკმაოდ ფართობი უკავია. ზესტაფონის და ბაღდათის მუნიციპალიტეტში, პირიქით, ცოლიკოურის ჯიშის ვენახები უფრო გავრცელებულია. ყურძნის სამუალო საპექტრო მოსავლიანობა უფრო მაღალია, ვიდრე ქვემო იმერეთის სხვა რაიონებში.

ტყიბულის, სამტრედიის, ხონის და წყალტუბოს რაიონებში ვენახები გაცილებით უფრო ნაკლები რაოდენობით გვხვდება. აქ ყურძნის მოსავლიანობაც დაბალია და ღვინოც შედარებით დაბალხარისხიანია.

ქუთაისის რაიონში ვენახები განლაგებულია ყვითელმიწა და ტყის ყომრალნიადაგებზე. აქ მევენახეობას სამრეწველო მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

7. იმერეთში გავრცელებული უნიკალური ვაზის ჯიშები

იმერეთი ქართული ვაზისა და ღვინის ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი მხარეა, სადაც ძალზე განსხვავებული კლიმატური პირობები და ნიადაგური შემადგენლობაა, ამიტომ ღვინოები ყველგან განსხვავებულია. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის საინფორმაციო ბუკლეტის თანახმად, იმერეთში გავრცელებული ვაზის ჯიშებია:

ცოლიკოური - ქართული აბორიგენული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია. მიეკუთვნება იმერეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს. იმერეთის გარდა გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, სამეგრელოში, აჭარასა და აფხაზეთში. ფართობის მიხედვით რაჭაწითელის შემდეგ მეორე ადგილი უკავია საქართველოში. გამორჩევა მაღალი სამეურნეო-ტექნოლოგიური მახასიათებლებით. მისგან მზადდება ევროპული და იმერული ტრადიციული წესით

დაყენებული მაღალხარისხიანი სუფრისა და ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინოები, რომელთაც ახასიათებს ღია ჩალისფერი შეფერვა, დიდი სხეული, ალკოჰოლისა და მჟავიანობის ნორმალური შემცველობა, სიხალისე და მაღალი გემური მაჩვენებლები, ჯიში საგვიანო სიმწიფის პერიოდისაა, ყურძენი ოქტომბრის მეორე ნახევრიდან მწიფდება. ყურძნის წვენში შაქარი შეადგენს 20,0-25,0%-ს, ხოლო მჟავიანობა - 7,5-9,5 გ/ლ-ს. ცოლიკოურისაგან მზადდება ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები „სვირი“ (ციცქასთან ერთად) და „ტვიში“. (დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშები)

ციცქა - ადგილობრივი მაღალხარისხოვანი თეთრყურძნიანი, საგვიანო სიმწიფის, საღვინე ვაზის ჯიშია, მიეკუთვნება იმერეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს. მკვლევართა აზრით, მისი წარმოშობის მხარედ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ციციური ითვლება. მისი კვირტის გაშლა აპრილის მეორე დეკადის დასაწყისში, ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურის 12°C-ზე მდგრადი გადასვლიდან, აღინიშნება; ყვავილობა - მაისის ბოლო რიცხვებში. ყურძენი სიმწიფეს აგვისტოს მეორე ნახევარში, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის 2800°C დაგროვებისას იწყებს. ტერიტორიის დაბლობ ნაწილში, 450 მ სიმაღლემდე, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ოქტომბრის პირველ დეკადაში 3800°C-მდე გროვდება, ყურძენი სრულ სიმწიფეში შედის. ამ დროს მისი შაქრიანობა აღწევს 21,5 %-ს, მჟავიანობა კი - 8,4 გ/დმ³-ს. (დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშები)

კრახუნა - ქართული აბორიგენული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია. მიეკუთვნება იმერეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს. ჯიში გამოიყენება ევროპული და იმერული ტრადიციული ღვინოების, ასევე მაგარი და სადესერტო ღვინოების დასამზადებლად. ევროპული წესით დაყენებული ღვინო მოყვითალო-ჩალისფერია, ხასიათდება სისრულით, ენერგიითა და სასიამოვნო გემოთი. იმერული წესით დაყენებული კრახუნას ღვინო ხასიათდება ლამაზი შეფერილობით, ალკოჰოლის ნორმალური შემცველობით, დიდი სხეულითა და ჰარმონიით, კარგი გემოთი. დაძველებისას კრახუნას ღვინო საგრძნობლად უმჯობესდება. იგი ლამაზ მოოქროსფრო ყვითელ ფერს იღებს და ივითარებს ძლიერ ჯიშურ ბუკეტს. ყურძნის დაგვიანებით დაკრეფისას კრახუნასგან შეიძლება დამზადდეს განსაკუთრებული მაღალი ხარისხის შემაგრებული და სადესერტო ღვინო, რომელიც ხასიათდება მდიდარი ჯიშური არომატითა და ხალისიანი მჟავიანობით. ჯიში საშუალოზე საგვიანო სიმწიფის პერიოდისაა,

ზესტაფონში ყურძენი მწიფდება სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში. ყურძენის წვენში შაქარი შეადგენს 21,0-23,0 %-ს, ხოლო მჟავიანობა - 7,5-8,5 გ/ლ-ს. (დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშები)

დონდლაბი - ქართული თეთრყურძენიანი ვაზის ჯიშია იმერეთიდან. დონდლაბის რამდენიმე ვარიანტია ცნობილი: მწვანე დონდლაბი, თავწითელა დონდლაბი და მჭკნარა დონდლაბი. ჩამოთვლილი ვარიანტებიდან პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლებით გამოირჩევა მჭკნარა დონდლაბი. მჭკნარა დონდლაბი საღვინე ვაზის ჯიშია. ცალკე დაყენებული მისი ღვინო ღია მოყვითალო ფერისაა, საკმაოდ ექსტრაქტული და ჰარმონიულია. მისი გამოყენება შეიძლება ციცქასა და ცოლიკოურთან ერთად კუპაჟში, საკმაოდ ხარისხიანი ადგილობრივი მოხმარების ღვინოების დასამზადებლად, ხოლო ცალკე - ყურძენის წვენისა და საბრენდე ღვინომასალის დასამზადებლად. ჯიში საშუალოზე საგვიანო სიმწიფის პერიოდისაა, იმერეთის ზონაში ყურძენი მწიფდება სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში. ყურძენის წვენში შაქარი შეადგენს 20,0-22,0%-ს, ხოლო მჟავიანობა - 7,6-9,3გ/ლ-ს. (დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშები)

კუნძა (სინონიმები: კუმსი ყურძენი, კუმსა) ქართული აბორიგენული თეთრყურძენიანი ვაზის ჯიშია. მიეკუთვნება იმერეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს. ძირითადი სახელმწოდება „კუნძა“ და ასევე სინონიმი „კუმსა“ მიღებული აქვს მტევნების მეტად კუმსი აგებულების გამო. კუნძას ღვინო მოყვითალო-ჩალისფერია, კარგად დაწმენდილი, საკმაოდ სხეულიანი, ჯიშური არომატითა და სასიამოვნო მჟავიანობით გამორჩეული. აღნიშნული ჯიში გამოიყენება უალკოჰოლო ყურძენის წვენის და ხარისხიანი საბრენდე ღვინომასალის დასამზადებლად. საგვიანო სიმწიფის პერიოდის ჯიშია - იმერეთში ყურძენი მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში. ყურძენის წვენის შაქარი შეადგენს - 20,0-22,0%, ხოლო მჟავიანობა - 7,5-9,0გ/ლ. (დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშები)

კაპისტონი თეთრი - ქართული აბორიგენული თეთრყურძენიანი ვაზის ჯიშია იმერეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფიდან. იმერული და ევროპული წესით დაყენებული კაპისტონი თეთრის ღვინო ხასიათდება ლამაზი, მიმზიდველი შეფერვით, კარგი სხეულით, სიხალისით, სლკოჰოლის ნორმალური შემცველობით და მაღალი გემური მაჩვენებელით, რომელსაც ახასიათებს მდიდარი ბუკეტი, ნაზი გემო, საკმარისი სხეული და მეტად სასიამოვნო, ხალისიანი

მჟავიანობა. ჯიში საგვიანო სიმწიფის პერიოდისაა - შუა და ზემო იმერეთის ზონაში ყურძენი სრულ სიმწიფეში შედის სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში. ყურძნის წვენში შაქარი შეადგენს 23%-ს, ხოლო მჟავიანობა - 8,0-10,0 გ/ლ. (დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშები)

ოცხანური საფერე - ქართული აბორიგენული წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია. გავრცელებულია ძირითადად იმერეთის რაიონებში. გამოიყენება მაღალხარისხიანი წითელი ღვინის დასამზადებლად ან სხვა წითელი ან თეთრი ღვინის შესაფერად. ცალკე დაყენებული ოცხანური საფერეს ღვინო გამოირჩევა ინტენსიური შეფერვით, ალკოჰოლისა და მჟავიანობის ნორმალური შემცველობით, ხავერდოვნებით, მდიდარი სხეულით, ჰარმონიული და კარგად გამოხატული ჯიშური არომატით. დაძველების შემდეგ, ღვინო ძალზე ღრმა სურნელსა და ელეგანტურობას იძენს, გამოირჩევა მდიდრული და ხანგრძლივი დაბოლოებით. ჯიში საგვიანო პერიოდისაა - ყურძენი ოქტომბრის ბოლოსკენ მწიფდება. ყურძნის წვენში შაქარი შეადგენს 20,0-23,0%-ს, ხოლო მჟავიანობა - 9,0-10,0 გ/ლ. (დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშები)

მელშავი (სინონიმები: ძველშავი, ძველშავი ობჩური) ქართული აბორიგენული წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია. მიეკუთვნება იმერეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს. ძირითადად გავრცელებულია იმერეთის რაიონებში. საღვინე მიმართულებისაა. გამოიყენება ადგილობრივი მოხმარების ღია წითელი (ვარდისფერი) შეფერვის სუფრის, ცქრიალა ღვინოების დასამზადებლად და საკუპაჟედ. მელშავისგან შეიძლება საკმაოდ ენერგიული, მაღალმჟავიანი საზაფხულო ღვინის დამზადებაც. ჯიში საგვიანო პერიოდისაა. ყურძნის წვენში შაქარი შეადგენს 20,0%-ს, ხოლო მჟავიანობა 7,0-8,0 გ/ლ. (დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშები)

მგალობლიშვილი ქართული ადგილობრივი წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია იმერეთიდან, საღვინე მიმართულების. ცალკე დაყენებული მგალობლიშვილის ღვინო მცირედ არის შეფერილი, ნაკლებად სხეულიანია და შინაარსიანია, ამიტომ მას აკუპაჟებენ ოცხანურ საფერესთან ერთად და იღებენ ინტენსიურად შეფერილ, ხალისიან სუფრის წითელ ღვინოს, როკომენდებულია, ძირითადად, საბრენდე ღვინომასალის დასამზადებლად. ჯიში საგვიანო

სიმწიფის პერიოდისაა. ყურძნის წვენში შაქარი შეადგენს 21,0-23,0%-ს, ხოლო მჟავიანობა 7,5-8,5 გ/ლ. (დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშები)

შევეცადე, წარმომედგინა ვაზის ის სახეობები, რომლებსაც უფრო ხშირად წავაწყდებით იმერეთის რეგიონში და წარმოშვებაც იმერული გააჩნიათ. იმერეთის წითელი და შავი ყურძნის ჯიშთა სიაში, კიდევ გვხვდება რამდენიმე სახელი, რომელთა შესახებაც არც თუ ისე ბევრი ინფორმაცია მოიპოვება და მხოლოდ ცალკეულ ავტორებს აქვთ აღწერილი. ეს ჯიშებია: ბზვანურა, მალლარი, წვრილმარცვალა, დიდშავა, წვრილმარცვალა, ჩხინკოური, კუპრაშვილისეული, მამუკას საფერე, მელისკუდა, ტრედისფეხა, ბჟღია, შავი ბუდეშური, ადანასური, წველოური, არაბოული, რცხილათუბანი, ჯანი. ეს ჯიშები დაცულია საქართველოს ამპელოგრაფიულ ნაკვეთებში და მცირეოდენი ნაწილს საკარმიდამო ნაკვეთებშიც წავაწყდებით ნარგავების სახით.

ყურძნის შაქარ-მჟავიანობაზე, ვაზის ჯიშების თავისებურებასთან ერთად, დიდ გავლენას ახდენს ადგილმდებარეობის რელიეფური (ჰიფსომეტრია, ფერდობის ექსპოზიცია, დახრილობა), კლიმატური და ნიადაგური პირობები.

8. 2004 და 2014 წლების სასოფლო-სამეურნეო აღწერის სტატისტიკური ანალიზი

ამ თავში განხილული ინფორმაცია ეყრდნობა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას. <https://www.geostat.ge/ka>

2004 წლის სასოფლო სამეურნეო აღწერის მიხედვით, იმერეთის რეგიონში ვენახების საერთო ფართობი შეადგენდა 8584 ჰექტარს ხოლო რეგიონების მიხედვით ის შემდეგნაირად იყო

განაწილებული: ბაღდათის რაიონი - 1367 ჰა, ზესტაფონის რაიონი - 2229 ჰა, თერჯოლის რაიონი - 1363 ჰა, ტყიბულის რაიონი - 179 ჰა, წყალტუბოს რაიონი - 179 ჰა, ჭიათურის რაიონი - 599 ჰა, ვანის რაიონი - 1098 ჰა, სამტრედიის რაიონი - 130 ჰა, საჩხერის რაიონი - 843 ჰა, ხარაგაულის რაიონი - 514 ჰა და ხონის რაიონი - 84 ჰა.

რაც შეეხება ვენახებში ვაზის ძირთა რაოდენობას, 2004 წელს ის იმერეთის რეგიონში=29 573 693-ს შეადგენდა. ხოლო რეგიონების მიხედვით ასე იყო გადანაწილებული: ბაღდათის რაიონი -3 534 492, ზესტაფონის რაიონი - 7 066 025, თერჯოლის რაიონი - 6 140 188, ტყიბულის რაიონი - 888 946 ძირი, წყალტუბოს რაიონი - 942 940, ჭიათურის რაიონი - 2 963 088, ვანის რაიონი -2 614 650, სამტრედიის რაიონი - 249 708, საჩხერის რაიონი - 3 230 028, ხარაგაულის რაიონი - 1 563 456 და ხონის რაიონი - 380 172 ძირი. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

იმერეთის რეგიონში ვაზის ჯიშებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია ცოლიკოურის, ციციქისა და კრახუნას ჯიშები. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, **ცოლიკოურის** ჯიშის ვენახების ფართობი 4 530 ჰექტარს შეადგენდა, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 14 212 692 იყო. რეგიონების მიხედვით მონაცემები შემდეგნაირად იყო განაწილებული: ბაღდათის რაიონი - 1 126 ჰა (2 880 614 ძირი), ზესტაფონის რაიონი - 94 ჰა (2 936 328 ძირი), თერჯოლის რაიონი - 361 ჰა (1 647 116 ძირი), ტყიბულის რაიონი - 129 ჰა (634 194 ძირი), წყალტუბოს რაიონი - 155 ჰა (828 941 ძირი), ჭიათურის რაიონი - 164 ჰა (817 065 ძირი), ვანის რაიონი - 1 034 ჰა (2 481 102 ძირი), სამტრედიის რაიონი - 128 ჰა (245 783 ძირი), საჩხერის რაიონი - 261 ჰა (934 202 ძირი), ხარაგაულის რაიონი - 152 ჰა (456 899 ძირი) და ხონის რაიონი - 76 ჰა (350 448 ძირი). **ციცქას** ჯიშის ვენახების საერთო ფართობი 2 783 ჰექტარს, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 10 348 548-ს შეადგენდა. რაიონების მიხედვით მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ბაღდათის რაიონი - 48 ჰა (134 631 ძირი), ზესტაფონის რაიონი - 1217 ჰა (3 925 958 ძირი), თერჯოლის რაიონი - 964 ჰა (4 314 021 ძირი), ტყიბულის რაიონი - 25 ჰა (126 116 ძირი), წყალტუბოს რაიონი - 7 ჰა (37 012 ძირი), ჭიათურის რაიონი - 103 ჰა (446 553 ძირი), ვანის რაიონი - 6 ჰა (14 490 ძირი), სამტრედიის რაიონი - 1 ჰა (2060 ძირი), საჩხერის რაიონი - 100 ჰა (397 385 ძირი), ხარაგაულის რაიონი - 310 ჰა (940 992 ძირი) და ხონის რაიონი - 2 ჰა (9 330 ძირი). რაც შეეხება **კრახუნას** ჯიშის ვაზს, მისი საერთო

ფართობი 2004 წელს 36 ჰექტარი, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 122 799 იყო. უდიდესი ნაწილი აქაც სამ მუნიციპალიტეტზე მოდიოდა: ბაღდათის რაიონი - 13 ჰა (43 647 ძირი), ზესტაფონის რაიონი - 20 ჰა (66 657 ძირი) და თერჯოლის რაიონი - 2 ჰა (9 046 ძირი). (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

ციცქა, ცოლიკოურის და კრახუნას გარდა, რომელიც ყველაზე გავრცელებულია იმერეთის რეგიონში, ასევე გვხვდება ვაზის სხვა ჯიშებიც, თუმცა არც თუ ისე დიდი მასშტაბით.

2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, იმერეთის რეგიონში ალადასტურის ჯიშის ვენახების, რომელის მიეკუთვნება გურიის ჯიშთა ჯგუფს, საერთო ფართობი 23 ჰექტარს, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 59 076-ს შეადგენდა. აქედან უდიდესი ნაწილი სამ მუნიციპალიტეტზე ნაწილდებოდა. ესენია: ბაღდათის რაიონი - 13 ჰა (32 893 ძირი), ვანის რაიონი - 6 ჰა (15 013 ძირი) და ზესტაფონის რაიონი - 3 ჰა (5 101 ძირი). **ოჯალეშის** ჯიშის ვაზი იმერეთის რეგიონში 65 ჰექტარს, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 189 331-ს შეადგენდა, საიდანაც 57 ჰექტარი (155 693 ძირი) ბაღდათის მუნიციპალიტეტზე მოდიოდა. იმერეთში ასევე მოდის შიდა ქართლში გავრცელებული ვაზის ჯიში, **გორული მწვანე**, რომლის საერთო ფართობი 2004 წელს 69 ჰექტარი, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 240 627 იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საჩხერის რაიონი, 69 ჰექტრიდან 67 სწორედ ამ მუნიციპალიტეტშია გავრცელებული, ხოლო ძირთა რაოდენობა 232 262-ს შეადგენდა.

წითელყურძნიან ვაზის ჯიშებიდან იმერეთის რეგიონში ყველაზე გავრცელებული ჯიშია **ბელშავია**. 2004 წლის მონაცემებით, მისი ფართობი 541 ჰექტარს, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 2 262 633-ს შეადგენდა. რეგიონების მიხედვით მონაცემები შემდეგნაირად იყო განაწილებული: ძირი), ბაღდათის რაიონი - 46 ჰა (121 902 ძირი), ზესტაფონის რაიონი - 2 ჰა (6500 ძირი), თერჯოლის რაიონი - 5 ჰა (22 370 ძირი), ტყიბულის რაიონი - 1 ჰა (3 170 ძირი), წყალტუბოს რაიონი - 3 ჰა (16 247 ძირი), ჭიათურის რაიონი - 180 ჰა (939 883 ვანის რაიონი - 3 ჰა (3 357 ძირი), საჩხერის რაიონი - 300 ჰა (1 145 989 ძირი).

იმერეთის რეგიონში ასევე მოდის შავი და თეთრი ჯიშის **იზაბელა (ადესა)**. 2004 წელს შავი იზაბელას (ადესა) საერთო ფართობი 169 ჰექტარი, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 506

667 იყო. რაც შეეხება თეთრ იზაბელას (ადესა), მისი ფართობი 90 ჰექტარს, ხოლო ძირთა რაოდენობა 361 994-ს შეადგენდა.

ცნობილ ჯიშებთან ერთად, იმერეთის რეგიონში მოდის ისეთი ვაზის ჯიშებიც, რომლებიც არაიდენტიფიცირებულია. 2004 წელს ასეთი ჯიშების საერთო ფართობი 90 ჰექტარს, ხოლო ძირთა რაოდენობა ვენახებში 477 377-ს შეადგენდა. (სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, იმერეთის რეგიონში ვენახების საერთო ფართობი 4 981 ჰექტარს შეადგენდა. ხოლო რეგიონების მიხედვით ის შემდეგნაირად იყო განაწილებული: ქ. ქუთაისი - 11 ჰა, ბაღდათის რაიონი - 751 ჰა, ვანის რაიონი - 490 ჰა, ზესტაფონის რაიონი - 1 302 ჰა, თერჯოლის რაიონი - 940 ჰა, სამტრედიის რაიონი - 65 ჰა, საჩხერის რაიონი - 577 ჰა, ტყიბულის რაიონი - 84 ჰა, წყალტუბოს რაიონი - 162 ჰა, ჭიათურის რაიონი - 297 ჰა, ხარაგაულის რაიონი - 246 ჰა, ხონის რაიონი - 58 ჰა .


ვაზის ძირთა რაოდენობას ვენახებში, 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, იმერეთის რეგიონში სულ 15 174 000 ძირი ვაზი იყო, ხოლო მუნიციპალიტეტების მიხედვით მონაცემები ასე გადანაწილდა: ქ. ქუთაისი - 34 000 ძირი ვაზი, ბაღდათის რაიონი - 1 747 000, ვანის რაიონი - 936 000, ზესტაფონის რაიონი - 4 258 000, თერჯოლის რაიონი - 3 695 000, სამტრედიის რაიონი - 140 000, საჩხერის რაიონი - 1 764 000, ტყიბულის რაიონი - 394 000, წყალტუბოს რაიონი - 461 000, ჭიათურის რაიონი - 1 050 000, ხარაგაულის რაიონი - 564 000 და ხონის რაიონი - 131 000 ძირი ვაზი.

2014 წლის მონაცემებით ციცქა და ცოლიკოურის ვაზის ჯიშები ჭარბობს იმერეთის რეგიონში. **ციცქას** ჯიშის ვაზის რაოდენობა ვენახებში 5 425 000 ძირს შეადგენდა, ხოლო მუნიციპალიტეტების მიხედვით ის შემდეგნაირად იყო განაწილებული: ქ. ქუთაისი - 6 000 ძირი, ბაღდათის რაიონი - 61 000, ვანის რაიონი - 21 000, ზესტაფონის რაიონი - 2 222 000, თერჯოლის რაიონი - 2 337 000, სამტრედიის რაიონი - 3 000, საჩხერის რაიონი - 196 000, ტყიბულის რაიონი - 73 000, წყალტუბოს რაიონი - 32 000, ჭიათურის რაიონი - 179 000, ხარაგაულის რაიონი - 293 000 და ხონის რაიონი - 4 000 ძირი.

რაც შეეხება **ცოლიკოურის** ჯიშის ვაზს, მისი ძირთა რაოდენობა ვენახებში 2014 წელს 6 990 000-ს შეადგენდა, ხოლო მუნიციპალიტეტების მიხედვით ასე იყო განაწილებული: ქ.

ქუთაისი - 19 000 ძირი, ბაღდათის რაიონი - 1 404 000, ვანის რაიონი - 838 000, ზესტაფონის რაიონი - 1 709 000, თერჯოლის რაიონი - 1 146 000, სამტრედიის რაიონი - 120 000, საჩხერის რაიონი - 551 000, ტყიბულის რაიონი - 243 000, წყალტუბოს რაიონი - 376 000, ჭიათურის რაიონი - 314 000, ხარაგაულის რაიონი - 156 000 და ხონის რაიონი - 114 000 ძირი.


9. 2004 და 2014 წლების სასოფლო-სამეურნეო აღწერის სტატისტიკური მონაცემების შედარება



3

³ <https://www.geostat.ge/ka>

2004 და 2014 წლის მონაცემების შედარებით ცალსახაა, რომ იმერეთის რეგიონში ვენახების საერთო ფართობი მკვეთრად შემცირებულია. 2014 წელს ვენახების ფართობი 4 981 ჰექტარი იყო, მაშინ როდესაც 2004 წელს იგივე მაჩვენებელი 8 584 ჰექტარს შეადგენდა, ანუ 3 603 ჰექტრით შემცირდა.



⁴ <https://www.geostat.ge/ka>

2014 წლის აღწერის მონაცემებით, ასევე კარგად ჩანს თუ როგორ არის შემცირებული ვენახებში დარგული ვაზის ძირების რაოდენობა. თუ 2004 წელს ვაზის ძირთა რაოდენობა 29 573 693 იყო, 2014 წელს ეს მაჩვენებელი 15 174 000 ძირამდე შემცირდა, ანუ თითქმის განახევრდა.

იმერეთში ყველაზე პოპულარული და გავრცელებული ვაზის ჯიშების - ციცქასა და ცოლიკაურის რაოდენობაც საგანგაშოდაა შემცირებული. 10 წლიან ინტერვალში ამ ჯიშთა რაოდენობაც თითქმის განახევრებულია, რაც სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, 2006 წელს რუსული ბაზრის დახურვამაც გამოიწვია. იმერეთში მეღვინეობა ყოველთვის იყო სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი და მთლიანად ქვეყნის მეღვინეობის განვითარებაშიც დიდი როლი ეკავა, თუმცა 2014 წლის აღწერების შედეგების მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ამ როლს ნელ-ნელა კარგავს.

ასეთი ტენდენციის გაგრძელება ჩემს კვლევაში არ შეინიშნება, 2014 წლიდან დღემდე იზრდება პოპულარიზაცია ღვინისა და ყურძნის პროდუქტების მიმართ, 8 სანერგე მეურნეობიდან მოვიძიე ინფორმაცია ბაღდათის, ზესტაფონის და თერჯოლის მუნიციპალიტეტებიდან, რომელთაგან ექვსი 3-4 წელიწადია გამოჩნდა ბაზარზე. საოჯახო ტიპის მარნები 2-3 წელია აქტიურად იწყებენ ფუნქციონირებას. გლეხებისა თუ ღვინის ბიზნესში ჩართული რესპოდენტები მომავლას იმედით შესცქერიან და ცდილობენ მეტი კაპიტალის მობილიზებას ამ დარგის გასავითარებლად. მოკლე რეზიუმე, რომ გავაკეთო, ნელი ტემპით, მაგრამ 2004 - 2014 წლებში დაწყებული რეგრესი შეჩერებულია, საფრთხე შესწავლილია. დარწმუნებული ვარ ქვეყნაში სტაბილური მდგომარეობის პირობებში, მომდევნო საყოველთაო აღწერის ციფრები დადებით ტენდენციას აჩვენებს.

10. მეღვინეობის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები იმერეთის რეგიონში

ღვინის ეროვნული სააგენტოს (2019) ინფორმაციით, 2018 წელს ქვეყნის მასშტაბით, 292კომპანიის მიერ 245 ათასი ტონა ყურძენი გადამუშავდა, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელი. რეალიზებული ყურძნის ღირებულებამ 312 მლნ ლარზე მეტი შეადგინა. სამწუხაროთ იმერეთის რეგიონზე სტატისტიკური ინფორმაცია 2018 წლის რთველთან დაკავირებით ვერ მოვიძიე.

ცხრილი:N2 ყურძნის წარმოების სტატისტიკა საქართველოში. ათასი/ტონა⁵

2016 წ.	148-150 ათასი/ტონა
2017 წ.	140-150 ათასი/ტონა
2018 წ.	245 ათასი/ტონა

საინტერესოა გავეცნოთ მსოფლიო მასშტაბით ყურძნის მწარმოებაში ლიდერი ქვეყნების ათეულს. 2018 წლის მონაცემებით ყურძნის მწარმოებელი ქვეყნების ათეული შემდეგია: ჩინეთი, იტალია, აშშ, ესპანეთი, საფრანგეთი, თურქეთი, ჩილე, არგენტინა, ინდოეთი, ირანი.

ცხრილი:N3 ყურძნის მწარმოებელი ქვეყნების ათეული. მილიონი/ტონა⁶

⁵ ღვინის ეროვნული სააგენტო, <http://wine.gov.ge/>

ჩინეთი	იტალია	აშშ	ესპანეთი	საფრანგეთი	თურქეთი	ჩილე	არგენტინა	ინდოეთი	ირანი
8,66	7,8	6,24	6,11	5,89	4,25	2,8	2,62	2,27	2,25

2017 წელს ბაღდათის, ზესტაფონის და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში 2200 ტონაზე მეტი ყურძენი დაიკრიფა:

ბაღდათი - 904,85 ტონა, ღირებულება 1 475 902 ლარი

ზესტაფონი - 1 388, 42 ტონა, ღირებულება 2 346 266 ლარი

თერჯოლა - 131,99 ტონა, ღირებულება 181 799 ლარი

რაც შეეხება 2016 წელს იმერეთის რეგიონს, ღვინის წარმოების მხრივ მთავარ მუნიციპალიტეტებში ასეთი მდგომარეობაა: ბაღდათი - 340 ტონა ყურძენი დაიკრიფა, რაც 480 649 ლარის ღირებულებისაა, ზესტაფონი - 246 ტონა ყურძენი მოვიდა, რომლის ღირებულებამაც 370 588 ლარი შეადგინა, თერჯოლის მუნიციპალიტეტი - 2 ტონა (2 392 ლარი).

იმერეთის რეგიონში ვაზის მოვლა-პატრონობა მოიცავს, რამოდენიმე ოპერაციის ჩატარებას. ვაზის დარგვისას მიწის დამუშავება ხდება 60-70სმ-ის სიღრმემდე, მეოთხე წლიდან იწყებს მოსავლის მოცემას და ათ წელიწადში მოსავლიანობის მაქსიმალურ ნიშნულს აღწევს, რომელიც გრძელდება დაახლოებით 40-45 წელი. ვაზის ყოველწლიური მოვლა-პატრონობა საკმაოდ დიდ შრომასთან არის დაკავშირებული, გვიან შემოდგომაზე ან თებერვალსა და მარტში ვაზი მოითხოვს გასხვლით სამუშაოებს, ვაზის ძირების გაფხვიერება/მიწის დამუშავება აუცილებელია 2 წელიწადში ერთხელ მაინც. ბოძზე ან მავთულზე დამაგრება ხდება ადრე გაზაფხულზე, რათა კვირტი არ დაზიანდეს. ვაზის აყვავებამდე სასურველია

⁶ Top 10 largest grapes producing countries in the worlds 2019, <https://www.worldblaze.in>

1-2 შეწამვლითი სამუშაო სხვადასხვა მავნებელთა წინააღმდეგ, გაზაფხულის შუა პერიოდში ხდება ზედმეტი ყლორტების მოცილება. ყვავილობის პერიოდი რომელიც გრძელდება 10-14 დღეა, აკრძალულია ყოველგვარი შეწამვლითი ან რაიმე სახის მექანიკური ურთიერთობა ვაზთან. სასურველია წელიწადში 5-7 სხვადასხვა შესაწამვლითი სამუშაოების ჩატარება. კირი და შაბიამანი ყველაზე გავრცელებული შესაწამლი საშუალებაა, გამოყენებაშია ბიოპრეპარატი „ორგანიკა“, „ბორდოს“ ფხვნილი და ასევე სხვადასხვა ქიმიურ პრეპარატი. საშუალოდ 1 ძირი დაბლარი ვაზი იძლევა 2-4 კგ ყურძენს, ხოლო მაღლარი 3-6 კგ ყურძენს. ორ წლის დამცნილი სანერგე ძირი 4-8 ლარის ფარგლებში მეტყეობს (სადედე ჯიშებია ძირითად ფასწარმოებელი). ვენახებში მიწის დამუშავებას საოჯახო მეურნეობები ადამიანური რესურსითა და ხელის მინიტრაქტორის საშუალებით ახდენენ. ხოლო საშუალო და მსხვილი მეურნეები მაქსიმალურად ცდილობენ შეამცრონ ადამიანური კაპიტალის გამოყენება, მათ მიერ გაშენებული ვენახები შესაძლებლობას ხდის მექანიზაციის მაქსიმალურ ჩართულობას. შრომითი ხარჯების გარეშე, 1 ჰექტარზე ვენახის მოვლა შეადგენს 1200-1700 ლარს. მოსავლიანობა განხვავებულია ჯიშების მიხედვით ჰექტარზე ცოლიკოური 10-12 ტონა მოდის, ციცქა 8-10 ტონა, კრახუნა 7-9 ტონა. იმერეთის რეგიონში, სოფლად მცხოვრებთა ტრადიციული საქმიანობა მევენახეობა-მელვინეობა გახლავთ. ბაღდათის, ზესტაფონის და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში სოფლად მცხოვრებ ოჯახებს თითქმის ყველას გააჩნია თავის მეურნეობაში მოყვანილი ყურძნისგან დაწურული ღვინო. უმრავლეს მათთაგანს 100-დან 800-მდე ვაზის ძირს პატრონობს, მიღებული მოსავლის უმეტესება საკუთარი მოხმარებისთვის გამოიყენება, თუმცა რეალიზაციას ხდება ყურძნისა და ღვინის სახით. საოჯახო მეურნეობებში ღვინოს ტრადიციული მეთოდებით დამზადება კანტიკუნდატ არის შემორჩენილი. ტრადიციული მელვინეობა აქაც, ისევე როგორც სხვა რეგიონებში ქვევრს გულისხმობს, რომელსაც იმერეთში ჭურს უწოდებენ. განსხვავებით კახური ტრადიციული ღვინისგან აქ ტკბილს უმატებენ კლერტგაცლილ ჭაჭას. დადულების შემდეგ ღვინოს ჭურში აყოვნებენ დაახლოებით 2 თვის მანძილზე და შემდეგ ხსნიან დურდოდან, გადააქვთ კასრებში და ამუშავებენ. (რამიშვილი; რ. 2000) რეგიონში რამდენიმე მსხვილი და საშუალო ზომის ღვინის ქარხანაა, რომლებიც აწარმოებენ, როგორც ადგილობრივი ასევე სხვა კუთხის ვაზის ჯიშებიდან ღვინოებს. დიდ ქარხნებს საკუთარის მეორნეობები გააჩნიათ, როგორც იმერეთის რეგიონში ასევე ქვეყნის სხვა კუთხეში და ასევე

ახდენენ ყურძნის შესყიდვას ადგილობრივი მოსახეობიდან. ძირითად შემთხვევაში ქარხანა პროდუქციას აფასოვებს 750 მლ-იან მინის ბოთლებში, ასევე პლასტმასის 3, 5 და 20 ლიტრიან ჭურჭელში. პროდუქცია გააქვთ ექსპორტზე და ასევე შიდა ბაზარსაც აკმაყოფილებენ.

საოჯახო მეურნეობაში ჩამოსხმულ ღვინოს, სარეალიზაციო ფასი წლის განვლობაში საკმაოდ მერყევა. ზაფხულის ბოლოსთვის ღვინის ფასი 40-60%-ით უფრო მაღალია, ვიდრე იმავე ღვინის ფასი დეკემბერ-იანვარში, რაც ძირითადად განპირობებულია მარაგების დეფიციტის შედეგად.

ცხრილი: N4 საოჯახო მეურნეობაში არსებული ღვინის ფასი

ღვინის დასახელება	1 ლიტრის საშუალო ფასი
ციცქა	5-7 ლარი
ცოლიკოური	5-7ლარი
კრახუნა	6-8ლარი
ციცქა-ცოლიკოური	6-8 ლარი
ოცხანური საფერე	13-15ლარი
ბელშავი	6-8 ლარი

ღვინის ქარხნების მიერ წარმოებული პროდუქციის ფასი რომელსაც გააჩნია საბრენდე დასახელება და სათანადო ეტიკეტირება ის ოჯახური მეურნეობის ღვინის ფასებზე

გაცილებით მაღალია. ამასთან, ისიც აღსანიშნავია შიდა ბაზრისთვის, ქარხნებში ჩამოსხმელო ღვინო შედარებით ნაკლები დანახარჯი აქვს, ვიდრე საოჯახო ტიპის მარანში ჩამოსხმულს და ქარხნები შედარებით დაბალ ფასად ყიდიან ვიდრე გლეხი თავის მამულებიდან. კონკრეტული ღვინის სახეობის მიხედვით საექსპორტო ფასების შესახებ ინფორმაცია არაა ხელმისაწვდომი. თუმცა გაერთიანებული სტატისტიკური მაჩვენებლების თანახმად, 2017 წელს სულ ექსპორტირებულ იქნა 59,91 მლნ ლიტრა ღვინო, ჯამური ღირებულებით - 201,51 მილიონი აშშ დოლარით. შესაბამისად საშუალო საექსპორტო ფასი 1 ლიტრ ღვინოზე 3,8 აშშ დოლარი, დაახლოებით 11 ლარი გამოდის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ ეს საშუალო ფასია და შედარებით მაღალი კატეგორიის 1 ბოთლი (0,75) ღვინოების ფასი 15 აშშ დოლარიდან იწყება.

ღვინის წარმოების ლიდერი სახელმწიფოებია: იტალია, საფრანგეთი, აშშ, ესპანეთი, ავსტრალია, არგენტინა. საგულისხმოა, რომ საქართველოში წარმოებულია 110 000 ტონა ღვინით და 0.41%-იანი წილით მსოფლიო ბაზარზე 29-ე ადგილზეა.

ცხრილი N5: ღვინის წარმოება ქვეყნების მიხედვით. ათასი ლიტრი⁷

	ქვეყნები	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2017წ.%- მსოფლიო წარმოებაში	%-ული ცვლილებ 2017-2015
1	იტალია	5.000.000	5.090.000	4.250.000	15.92%	15%
2	საფრანგეთი	4.700.000	4.540.000	3.670.000	31.75%	21.9%
3	აშშ	2.865.000	3.063.000	3.313.000	12.41%	16.6%
4	ესპანეთი	3.770.000	4.000.000	3.210.000	12.02%	14.9%
5	ავსტრალია	1.190.000	1.050.000	1.370.000	5.13%	15.1%
6	არგენტინა	1.120.000	940.000	1.180.000	4.42%	5.4%

⁷ Wine institute, world statistics, <https://www.wineinstitute.org/resources/statistics>

29	საქართველი	130 000	110 000	110 000	0.41%	15.4%
	სულ მსოფლიო	28.852.900	28.321.100	26.697.000	100%	7.5%

ღვინის სპეციალიზირებულ მაღაზიებსა და დიდი სუპერმარკეტების ქსელში ღვინის ფასები ოდნავ განსხვავდება წარმოების წლისა და მწარმოებელი კომპანიის მიხედვით, თუმცა ძირითადად მსგავსია კონკრეტული სახეობებისათვის. იმერეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშებიდან ქარხნული წესით წარმოებული ღვინოების საშუალო ფასები 0,75 ბოთლისათვის ასეთია:

ღვინის დასახელება	1 ბოთლის (0,75) საშუალო ფასი
ციცქა	26 ლარი
ცოლიკოური	21 ლარი
კრახუნა	24 ლარი
ოცხანური საფერე	33 ლარი

საოჯახო ტიპის მარნებში და ქარხნული წესით წარმოებული კონკრეტული დასახელების ღვინის ფასში დიდია სხვაობა. ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ საოჯახო ტიპის მარნებში დაბეგვრის სისტემა შედარებით დაბალია, ცნობადობა საოჯახო ტიპის მარნებს შედარებით ნაკლები აქვთ, არ აქვთ ავტომატიზირებული სისტემები, სარეალიზაციო სივრცეები გაცილებით დიდი აქვთ ღვინის ქარხნებს, ტექნოლოგიურადაც არის განსხვავებები, მაგრამ ეგ მეტწილად გემოვნების საკითხია.

11. ღვინის ექსპორტი

2019 წლის იანვარ-მაისში საქართველოდან მსოფლიოს 39 ქვეყანაში 33,6 მლნ ბოთლი (0,75) ღვინოა ექსპორტირებული, რაც 2018 წლის ამავე მაჩვენებელს 6 %-ით აღემატება.

ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 87 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს, რაც 2018 წლის ანალოგიურ მონაცემებზე 16%-ით მეტია. ექსპორტი გაიზარდა ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: აშშ-126%, ჩინეთი-27% და პოლონეთი - 18%. ზრდა აღსანიშნავია ასევე შემდეგ ქვეყნებში: საფრანგეთი ისრაელი, ლიეტუვა, კანადა, ბელარუსი, ესტონეთი, ნიდერლანდები, მონღოლეთი, გერმანია, რუსეთი⁸. (ღვინის ეროვნული სააგენტო; 2019)

ექსპორტირებული ქვეყნების ხუთეულია: რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, პოლონეთი, ყაზახეთი. რუსეთის საექსპორტო ბაზრის გახსნამ სავაჭრო ვექტორი სრულიად შეცვალა და 2013 წლიდან რუსეთში ყველაზე მეტი ღვინო გადის

საინტერესოა ღვინის მოხმარების მონაცემებიც. 2017 წელს მსოფლიოში მოხმარებული ღვინის ყველაზე მეტი წილი -15% აშშ-ზე მოდის, ხოლო საქართველოს 38-ე ადგილი უჭირავს მსოფლიო მოხმარების 0.32%-იანი წილით.

ცხრილი N6: ღვინის მოხმარებული ქვეყნების ხუთეული. 1000 ლიტრი⁹

ქვეყნები	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	მსოფლიო წილი

⁸ <http://georgianwine.gov.ge/Ge/News/28639>

⁹ Wine institute, world statistics, <https://www.wineinstitute.org/resources/statistics>

1	აშშ	3.622.000	3.711.000	3.792.000	15%
2	საფრანგეთი	2.720.000	2.710.000	2.700.000	10,68%
3	იტალია	2.140.000	2.240.000	2.260.000	8,86%
4	გერმანია	1.960.000	2.010.000	2.020.000	7,95%
5	ჩინეთი	1.730.000	1.750.000	1.790.000	7,08%
	სულ მსოფლიოში	25.184.724	25.278.244	25.279.162	100%

12. ღვინისა და ყურძნის პროდუქციის რეალიზება იმერეთის რეგიონში

იმერეთის რეგიონში, ბოლო წლებია საოჯახო მარნებმა აქტიურად დაიწყეს ფუნქციონირება. რომლებიც ახდენენ მინის ბოთლებში ღვინის ჩამოსხმას, დაფასოვებას და ეტიკერირებას. სახელმწიფოც თავის მხრივ ცდილობს ამ დარგის განვითარებას და სხვადასხვა პროექტების საშუალებით, დაინტერესებულთ ეკონომიურ მხარდაჭერას და ცნობადობის ასამაღლებელ საქმიანობაში მეტ-ნაკლებად ეხმარება. საოჯახო მარნებში წამოებული ღვინის ძირითადი ნაწილი შიდა ბაზარზეა გათვლილი, მაგრამ რამდენიმე მეღვინეს ევროპის, ამერიკის და აზიის ბაზარებთანაც აქვთ კავშირი. საოჯახო მეურნეობების ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ არ ახდენს თავისი წარმოებული ღვინის დაპატენტებას. რეალიზაცია ახდენს საშუალო და მცირე მოცულობის პარტიებად (100-200 ლიტრი) ადგილობრივ ბაზარზე.

იმერეთის რეგიონში ამჟამად ფუნქციონირებს 15-მდე სხვადასხვა ზომის ღვინის ქარხანა, რომელთა უმეტესობას აქვთ საკუთარი ვენახები, ასევე ახდენენ დამატებითი ნედლეულის შექმნას საოჯახო მეურნეობებიდან. ყურძნის შესყიდვა კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონიდანაც ხდება. 2018 წელს ცოლიკოურის და ციცქას ფასი 1,40 და 1,70 ლარს შეადგენდა, ხოლო კრახუნა 20-30 თეთრით ძვირი გახლდათ. საწარმოო ხაზი ქარხნების

უმეტესობას საკმაოდ კარგად გამართული აქვთ და რაც შესაძლებლობას ქმნის ხარისხიანი ღვინო აწარმოოს. მსხვილ ქარხნებს თავისი საფირმო მაღაზიები გააჩნიათ, ასევე კვებისა და დასვენების ადგილებში ექსკლუზიური უფლება თავიანთი ნაწარმის გაყიდვის, ჩემს მიერ გამოკითხული ღვინის ქარხნების წარმომადგენლებმა უპირობოთ აღნიშნეს რუსეთის ბაზარი და ჩემი ვარაუდით იმერული ღვინის საექსპორტო ხაზის 70% რუსეთის ბაზარს უკავშირდება, ასევე აღსანიშნია ყაზახეთი და უკრაინა, სამწუხაროთ ოფიციალური მონაცემი იმერეთის რეგიონში ღვინის წარმოებაზე და რეალიზაციაზე არ არსებობა.

ყურძენის ფას ბოლო ხუთ წელს თუ თვალს გადავავლებთ მეტ-ნაკლებად სტაბილურია 1,30 ლარზე ნაკლები არცერთ წელს არ იყო, როგორც წითელი ასევე თეთრი ჯიშის ყურძენი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მწიფობაში შესული ყურძენის რეალიზაცია ბოლო 5 წელიწადში კლებადია, მეურნე ცდილობს მიღებული ყურძნიდან აწარმოოს ღვინო და შემდეგ მოახდინოს რეალიზაცია.

არაყის წარმოება ღვინის თანმდევ პროცესს მოიცავს, რომელის მიიღება ყურძენის დაწურვისას წვენი გამოღების შედეგად დარჩენი ჭაჭის, სპეციალური აღჭურვილობის შედეგად გამოხდილი მაღალალკოჰოლიანი სასმელი. 1 ტონა ცოლიკოურისა და ციცქის დაწურული ყურძენის ჭაჭისგან მიიღება 60-70 ლიტრი არაყი. საოჯახო მეურნეობაში წარმოებული არაყის ალკოჰოლის დონე 55-60 გრადუსია. ოფიციალურად არაყის რეალიზაციას ლიცენზია სჭირდება, ღვინის წარმოებისგან განსხვავებით და საოჯახო მარნებში არაყს საკუთარი მოხმარებისთვის აყენებენ და რეალიზაცია მხოლოდ და მხოლოდ შიდა მიკრო ბაზარზე ხდება, სარეალიზაციო ფასი 1 ლიტრის 7-8 ლარია. დიდი კომპანიები, როგორც არის შპს „მეღვინეობა ხარება“ და შპს „იმერული ღვინის სახლი“, იმერული ჭაჭა შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე გაავთ შიდა ბაზარზე და ასევე რუსეთში.

საოჯახო მეურნეობებში კონიაკის წარმოებაც ხდება, ოღონდ მისი საბაზრო მნიშვნელობა დაბალია. მაღალალკოჰოლიან სასმელს რეალიზაციისთვის შესაბამისი ნებართვა სჭირდება, რაც გლეხისთვის ამ ეტაპზე რელევანტური არ გახლავთ.

სუფრის ყურძენის წარმოებამ ბოლო პერიოდია ფეხი მოიკიდა, ცალკეული საოჯახო და ფერმერული მეურნეობები სპეციალურ სათბურებს აკეთებენ, რათა მოახდინონ სუფრის

ყურძენის წარმოება, ძირითადად გამოიყენებენ იმპორტირებულ ჯიშებს აშშ-დან, ესპანეთიდან და იტალიიდან. ერთი მსხმოიარე ძირი სასათბურე პირობებში დაახლოებით 80-90კგ ყურძენს გვაძლევს და ფასი 2-5 ლარის ფარგლებში მერყეობს. სასათბურე მეურნეებიდან საზღვარგარეთ ექსპორტი არ ხდება ჯერ-ჯერობით შიდა ბაზრით კმაყოფილდებიან.

წიპწის ზეთი მიიღება ყურძნის წიპწისგან, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით ბიოლოგიურ ნივთიერებებს და ფართოდ გამოიყენება, როგორც კულინარიაში ასევე კოსმეტოლოგიაში. საქართველოშიც და იმერეთშიც წიპწის ზეთის წარმოებას დიდი ყურადღება არ ექცევა, იმერეთიდან წიპწის ზეთის წარმოების ხაზზე შპს „მელვიენობა ხარება“ მუშაობს და რომელის მეტ წილად საექსპორტო მიმართულებიან. 500 გრამი წიპწის 38 ლარი ღირს.

13. დასკვნები და რეკომენდაციები

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში დავრწმუნდი, რომ იმერეთის რეგიონს გააჩნია უდიდესი პოტენციალი მელვინეობის დარგის გასაავითარებლად. გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, ჰავა, ნიადაგის შემადგენლობა, სოციალური გარემო, ეკონომიკური პოტენციალი და უნიკალური ვაზის ჯიშთა სიმრავლეთა ერთობლიობა, სრულფასოვან გარემოს ქმნის, მსოფლიომ გაიცნოს იმერული ღვინო. ელევანტურობა, სილამაზე, სილადე და ჰარმონია, სინთეზში ისეთ განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებს ვინძლო არ მეგულებოდეს ადამიანი, რომელიც ღვინოს, იმერეთს და საქართველოს არ შეიყვარებს.

იყო, არის პრობლემები და მომავალშიც დიდი გამოწვევების წინაშე დავდგებით. ნაშრომში განვილიხე ისტორიის სხვადასხვა პერიოდი: ქართველმა კაცმა, როგორც სასოებით და რუდუნებით შეიყვარა და გააკურპა ვაზი, ვისაუბრე ის, თუ როგორი სიტუაცია იყო საქართველოსა და იმერეთის მევენახეობა-მელვინეობის დარგში. შევჯერდი ერთ დასკვნამდე, ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური თუ სოციალური გარემო პირდაპირპროპორციულად აისახება მევენახეობის განვითარების სფეროში. დარწმუნებული

ვარ, რაცარუნდა ეკონომიკური განვითარების მაქსიმუმს მივალწიოთ არასოდეს არ გაქრება ის არამატერიალური არსებული კავშირი ვაზსა და ქართველ კაცს შორის.

შემამფოთებელია ბოლო ორი საყოველთაო აღწერის შედეგები. 2004-2014 წლის მონაცემებით თითქმის განახევრებულია როგორც ვენების ისე ვაზთა რაოდენობა იმერეთის რეგიონში, ასეთი ტენდენცია აღმოსავლეთ საქართველოში არ შეინიშნებოდა, რაც მეტწილად ლოკალური პრობლემისგან უნდა იყოს გამოწვეული. ჩემი აზრით, იმერულმა ღვინომ, ინვესტორის და მომხმარებლის დაინტერესება სათანადოდ ვერ მოახდინა, ნაკლები ცნობადობით სარგებლობს, რაც არანაირი კავშირში არ არის ხარისხთან და გემოსთან. ვფიქრომ მიწის პოლიტიკაც შემაფერხებელი კვანძია ჩართულობის ამადლებისთვის, რადგან როგორც ნაშრომში მაქვს აღნიშნული ხარისხიანი ყურძნის პროდუქტი სხვადასხვა მიკროზონაში მოდის, მიკროზონაც გლეხების მიერ დანაწილებულია და სპეციფიკური მიდგომა სჭირდება წარმოების ჯაჭვის ჩამოსაყალიბებლად. ათწლიანი მონაკვეთის ჩავარდნა, ვფიქრობ ცნობადობის, მარკეტინგის და მიწის პოლიტიკის დამსახურებაა. ის ფაქტიც ყურადსადებია, რომ XIX საუკუნეში ღვინის წარმოება იმერეთში, აღემატებოდა კახეთის ღვინის წარმოებას. სტატისტიკური მონაცემების საანალიზო პერიოდში, არამხოლოდ იმერეთის, არამედ სრულიად საქართველოში ვენების საერთო ფართობის კლება შეინიშნებოდა. შემცირება ყველა რეგიონში დაფიქსირდა კახეთის გარდა. ერთ-ერთი ამის მიზეზი სავარაუდოდ მოსახლეობისთვის სუბსიდირების არსებობა იყო. ვფიქრომ, იმერეთის ისეთ მიკროზონებში, სადაც ხარისხიანი ყურძნის წარმოებაა ხდება, სუბსიდირების პოლიტიკის ამოქმედება, გლეხს მისცემს მეტ ენთუზიაზმს და შესაძლებლობას განავითარებოს მევენახეობა-მეღვინეობა.

2012 წლიდან დაიწყო პროექტი „ღვინის გზა“ რომელიც გულისხმობს საქართველოს მასშტაბით, მარნების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და ფოტო ფიქსაციას, რეკომენდირებული მარნებისთვის მზადდება მიმმართველების მანიშნებლები და სახელობითი დაფები, ასევე სინფორმაციო სარეკლამო მასალები. უფასოდ ვრცელდება ინფორმაციები მარნების შესახებ ინტერნეტ პლატფორმებსა და ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების საშუალებით. იმერეთში მთავარ საავტომობილო გზებზე განთავსდა მიკრო

ზონების აღმნიშვნელი სტელები. ცნობადობის ასამაღლებელი მსგავსი პროექტების არსებობა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ადგილობრივი მეღვინეობის განვითარებისთვის.

მცირე ზომის ფერმერებისთვის არ არსებობს ღვინის დაყენების თანამედროვე ტექნოლოგიებთან გაცნობის შესაძლებლობა. თიხის ჭურს ბოლო 30-40 წელია მინის ჭურჭლები ანაცვლებს, ბოლო პერიოდია უქანგავის ლითონის კასრებშიც აქტიურად ხდება ღვინის დაყენება, საოჯახო მეურნეობებში.

საგანგაშო და საყურადღებო ფაქტია პლასტმასის კასრებში ბადაგის დუღილის პროცესი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ პლასტმასის ჭურჭელში ალკოჰოლის გაჩერება ადამიანებში სიმსივნის რისკს ზრდის.

ქიმიური და ბიოლოგიური შესწავლა ყურძნისა და ნიადაგის ასეთი სახის მასშტაბური კვლევა არ ჩატარებულა. ვაზის მოვლა-პატრონობის, შესაწამლი პესტიციდების თანამედროვე საშუალებებთან წვდომა არ არსებობს. მოკლედ რომ ავღნიშნო, მეცნიერული ფართომასშტაბიანი კვლევა დამოუკიდებელ საქართველოში იმერეთის რეგიონის მევენახეობა-მეღვინეობის კუთხით არ ჩატარებულა. ღვინისა და ვაზის მოვლა-პატრონობა უმრავლეს შემთხვევაში ტრადიციებში კარგად დასწავლული მეთოდებით ხდება, მეცნიერებას სამწუხაროთ ვემიჯნებით. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს, ცნობადობის ამაღლებას ფერმერებისთვის, საშუალება უნდა მისცეს ღვინის ინდუსტრიით სახელმძღვანელო ქვეყნების მევენახეებსა და ადგილობრივ მეღვინეებს შორის მოხდეს დიალოგი, რათა გაცვალონ გამოცდილება.

საოჯახო ტიპის მარანთა რეგისტრაცია ერთ-ერთი გზაა წარმოებული ღვინის პოპულარიზაციისთვის, ასევე საზღვარგარეთ ღვინის გატანის მარტივი საშუალება, მაგრამ საოჯახო ტიპის მარანთა მესვეურებს უჭირთ საზღვარგარეთ თავის ნიშის დამკვიდრება, რადგან დიდ მწარმოებელ ქარხნებს უკვე გააჩნიათ თავისი სარეალიზაციო ხაზი. სახელმწიფომ უნდა შეძლოს გეოგრაფიული არელების: მიკროზეონების, მუნიციპალიტეტების, სოფლების და ა.შ ღვინის წარმოების ინდუსტრიაში დაპატენტება და პოპულარობა საერთაშორისო მასშტაბით.

სტატისტიკური ინფორმაცია და ზოგადად ნებისმიერი სახის ინფორმაციის სიმწირეა იმერული მეღვინეობის შესახებ. ბაღდათის, ზესტაფონის და თერჯოლის ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ინფორმაციის გამოთხოვნის სურვილი დასრულდა ღრმა დიალოგით, როგორც უშუალოდ ფერმერებთან ინტერვიუები. არ ხდება აღრიცხვიანოდა და სტატისტიკის შეგროვება სახელმწიფოებრივ დონეზე.

იმერეთში ღვინის ტურიზმის განვითარების უნიკალური შესაძლებლობა არსებობს. განსაკუთრებით მას შემდეგ რაც 2013 წელს, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს.(ღვინის ეროვნული სააგენტო: 2019) ღვინის ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანესი საფუძვლები, როგორცაა: რეგიონის დიდი ისტორია, მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი ტრადიცია და კულტურა, ყურძნის ჯიშთა სიმრავლე და უნიკალურობა, წეს-ჩვეულებების მრავალფეროვნება, იმერული სტუმართმოყვარეობა და სახელმწიფოს მხარდაჭერა ტურიზმის განვითარებაში არსებობს, მაგრამ ფაქტიურად საერთოდ არაა განვითარებული. ღვინის ტურიზმი, მევენახე და მეღვინე ფერმერებისთვის ვფიქრობ დიდი შემოსავლის წყარო გახდება.

ნაშრომის დასრულება გადაწყვეტილი მქონდა ღვინის ტურიზმის მოკლე მიმოხილვით, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლი განვითარებულ მოვლებენს. რუსეთის დუმის კომუნისტური პარტიის წევრის სერგეი გავრილოვის ვიზიტი და განვითარებული მოვლენები, საგანგაშო სურათს ქმნის. რუსეთის პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს მიმართულებით დროებით უქმდება ფრენები, სანიტარული სამსახური აძლიერებს კონტროლს საქართველოდან იმპორტირებულ ალკოჰოლური სასმელების ხარისხზე. რამდენიმე მსხვილმა კომპანიამ საბაჟო კონტროლის გავლა ვერ მოახერხა. შექმნილი სიტუაცია ემსგავსება 2006 წლის რუსულ ეკონომიკურ ემბარგოს. იმერეთიდან ალკოჰოლური სასმელების ექსპორტის დაახლოებით 70% რუსეთის ბაზარზე მოდის. სამწუხაროთ მეღვინეობის ინდუსტრიაში ჩართულმა ბიზნესმა, ოკუპანტის მავნებლური პოლიტიკა ვერ გაიაზრა, იმედს ვიქონიებ არ დადგება ისეთი მწვავე კრიზისი მეღვინეობის ინდუსტრიაში როგორც 2006-დან 2012-მდე წლებში იყო. ალტერნატიული ბაზრების მოძიება

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართული ეკონომის ნებისმიერი სექტორისთვის და ყველამ კარგად გაითავისოს, რუსეთი აგრესორი, ოკუპანტი და მტერია!

14 ბიბლიოგრაფია

(n.d.). Retrieved from census.ge: <http://census.ge/ge/results/agro-census/meurneobebis-ganatsilebasargeblobashi-arsebuli-mitsis-fartobis-mikhedvit>

(თ. გ.). დაბრუნებული georgianwine.gov.ge: <http://georgianwine.gov.ge/upload/file/1486986379-SOS%20Komp.pdf>-დან

„ი., & ს. ა. (2013). *სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთისა და რაჭის რეგიონებში*. დაბრუნებული 2019 წლის 6 ივნისი, Economist.ge Web Site: <http://www.economists.ge/storage/uploads/publication/1509081140364a47.pdf>-დან

STUDIES IN ECONOMICS AND BUSINESS (Markets and Market Failure). (n.d.). Retrieved from books.google.ge: https://books.google.ge/books?id=VS0qRpZYxhMC&printsec=frontcover&dq=Market+failure&hl=ka&sa=X&redir_esc=y#v=onepage&q&f=false

გელაშვილი, ნ. (1961). *მეღვინეობა*. თბილისი.

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები N4 (83), ტომი XIII, თბილისი 1960, გვ:171. (1960). თბილისი.

ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს გეოგრაფია. (1904). *ჟურნალი „მოგზაური“*, გვ:255-325.

ი. ს. (2014). <http://www.mrdi.gov.ge/>. დაბრუნებული http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/imeretis_regionis_ganvitarebis_strategia_2014-2021_clebistvis_0.pdf-დან

ლორთქიფანიძე, დ., & კილაძე, მ. (2017 წლის 01 12). *NATIONAL GEOGRAPHIC საქართველო*. დაბრუნებული 2019 წლის 1 მაისი, www.nationalgeographic.ge: <https://www.nationalgeographic.ge/wm.php?page=magazine2&fotocat=553&id=619>-დან

მეღვინეობა 1961 თბილისი გამომცემლობა „თბილისი“

რამიშვილი, რ. (2000). *ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია (ისტორიულ-არქეოლოგიური და ამპელოგრაფიული გამოკვლევა)*. თბილისი: გამომცემლობა „თბილისი“.

ს. ს. (თ. გ.). *სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი/დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშები*. დაბრუნებული 2019 წლის 1 მაისი, <http://srca.gov.ge/>: <http://srca.gov.ge/files/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1.%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5.%E1%83%95%E1%83%90%E1%83%96%E1%83%98.pdf>-დან

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჯაჭვი იმერეთში (მევენახეობა-მელვინეობა). (თ. გ.). დაბრუნებული enpard.ge: <http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Market-Assessment-Report-Wine-Geo.pdf>-დან

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვი. (თ. გ.). *Assosiation of Young Economists of Georgia* , 9.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთისა და რაჭის რეგიონებში (მევენახეობა-მელვინეობა). (თ. გ.). დაბრუნებული [economists.ge](http://www.economists.ge/storage/uploads/publication/1509081140364a47.pdf): <http://www.economists.ge/storage/uploads/publication/1509081140364a47.pdf>-დან

საქართველოს ეროვნული მუზეუმი. (2015 წლის 27 აპრილი). დაბრუნებული 2019 წლის 1 ივნისი, <http://museum.ge>: http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=100&info_id=13376-დან

საქართველოს მევენახეობა და მელვინეობა. (თ. გ.). დაბრუნებული [wikipedia.org](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83): https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83-დან

საქართველოს მევენახეობა და მელვინეობა 1956 თბილისის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

საქართველოს მევენახეობა და მელვინეობა 2019

საქართველოს მევენახეობის და მელვინეობის განვითარების ძირითადი ეტაპები XXI საუკუნის გადასახედიდან 2012 თბილისი

საქართველოს სსრ მევენახეობა და მელვინეობა 1954 თბილისი გამომცემლობა „თბილისი“

საქართველოს სსრ მევენახეობა და მელვინეობა 1954 თბილისის სახელმწიფო გამომცემლობა „თბილისი“

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი. (თ. გ.). დაბრუნებული geostat.ge: http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/census/ganyofileba5.pdf-დან

ღვინის ეროვნული სააგენტო. (2019 წლის 9 მაისი). დაბრუნებული 2019 წლის 1 მაისი, <http://georgianwine.gov.ge>: <http://georgianwine.gov.ge/Ge/News/28639>-დან

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის 2016 წლის მონაცემები. (თ. გ.). დაბრუნებული georgianwine.gov.ge: <http://georgianwine.gov.ge/upload/file/1483517495-Exp16.pdf>-დან

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის 2016 წლის მონაცემები. (თ. გ.). დაბრუნებული georgianwine.gov.ge: <http://georgianwine.gov.ge/upload/file/1483517495-Exp16.pdf>-დან

ცერცვაძე, ნ. (1989). საქართველოს კულტურული ვაზის კლასიფიკაცია. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ხარაიშვილი, ე. (2017). *ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკრეტული მოდელები საქართველოში*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ჯავახიშვილი, ი. (1986). *ივანე ჯავახიშვილი - თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი V, თბილისი 1986, გვ: 448, 449, 450, 451, 452, 453, 454, 601, 602, 603, 604, 605, 627, 641, 666*. თბილისი.

15. დანართი

გთავაზობთ ინტერვიუს დროს გამოყენებულ კითხვართა მონახაზს, რომელიც შედგა უშუალოდ პირისპირ, ასევე ფიქური და სოციალური ქსელის დახმარებით.

1. გთხოვთ, მოკლედ ამიღწეროთ თქვენი საქმიანობა?
2. გთხოვთ, გვესაუბროთ საქმიანობის ისტორიულ წარსულზე?
3. გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია: ვაზის ჯიშებზე, ვენახების ფართობზე, ღვინის წარმოებაზე?
4. საშუალოდ რა რაოდენობის ღვინის წარმოებას ახდენთ ყურძნის მოსავლისგან?
5. გარდა ღვინისა აწარმოებთ თუ არა ყურძნისგან სხვა პროდუქტებს?
6. საწარმოო პროცესის დროს როგორია ეკონომიკური და სოციალური თანადგომა?
7. თქვენი აზრით, მევენახეობა-მეღვინეობა იმერეთის რეგიონში რა გამოწვევის წინაშე დგას?
8. როგორ ფიქრობთ რა საშუალებით მოხდება არსებული პრობლემის მოგვარება?
9. გთხოვთ, გამიზიაროთ არსებული პრობლემების მოგვარების რეკომენდაციები.

10. გეგმავთ თუ არა ვენახის ფართობებისა და ღვინის წარმოების გაზრდას, მომდევნო 5 წლის განმავლობაში?
11. რა შესაძლებლობები გააჩნია იმერეთის რეგიონს მევენახეობა-მეღვინეობის გასავითარებლად?
12. გთხოვთ მესაუბროთ თქვენი პროდუქტის სარეალიზაციო ბაზარის შესახებ?

კვლევისთვის შერჩეული ღვინის კომპანიები და მარნები

ტარიელ ებანოძის მარანი-მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა დიმში, აწარმოებს ღვინოებს: ძელშავს, ცოლიკოურს, ციცქასა და ცოლიკოურს. ტელეფონი: 598 65 43 63

ნატრიაშვილების მარანი-მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმში, აწარმოებს ცოლიკოურის და ოცხანური საფერს ღვინოებს. ტელეფონი: 591 14 80 40

კომპანია „ბაღდათის მამულები“- მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტში, აწარმოებს ცოლიკოური-ციცქა-კრახუნა ევროპული სტილით, ცოლიკოური-ციცქა-კრახუნა იმერული ჭურის, ძველშავი-ოცხანური საფერე. ტელეფონი: 593 32 38 43

სიმონ ჩხეიძის მარანი - მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ობჩაში, ვენახის ფართობებში წავაწყდებით: ცოლიკოურს, ციცქას კრახუნას, ალადასტურსა და ოცხანურ საფერეს. მევენახეობა-მეღვინეობა ამ ოჯახის ტრადიციული საქმიანობა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ტელეფონი: 599 79 13 03

სევერიანე ღამბაშიძის მარანი-მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმში. აწარმოებს ცოლიკოურის და ციცქა-ცოლიკოურის ღვინოებს. ტელეფონი 599 175 81 17

იმერული ღვინის კომპანია - მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოფელ მეორე სვირში, სვირის მიკროზონაში აქვთ საკუთარი ვენახები გაშენებული და აწარმოებენ ციცქას, ოცხანურ საფერეს და საფერავს. სვირული საფერავი ოდნავ განსხვავებულია და დახვეწილი სურნელით ხასიათდება კახურ საფერავთა შედარებით. კომპანია ექსპორტს ახორციელებს ევროპის, აზიის და ამერიკის კონტინენტზე. Mail: info@iwc.ge

მეღვინეობა ხარება - მარნები მდებარეობს იმერეთსა და კახეთში. თერჯოლის მუნიციპალიტეტში მდებარე ქარხანა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და რეგიონში ლიდერია ღვინის ინდუსტრიის კუთხით. ამ ქარხანაში აწარმოებენ 20 მეტი ყურძნის ჯიშისგან 40-ზე მეტ სახეობის ღვინოს. იმერეთში გავრცელებული ვაზის ჯიშებისგან: ციცქა, ცოლიკოური, კრახუნა, ოცხანური საფერე, ალადასტური, უსახელოური, ახდენენ სხვადასხვა ტიპის ღვინის წარმოებას. საექსპორტო არეალი მოიცავს ევროპისა და აზიის არაერთ ქვეყანას. Web: <http://www.winery-khareba.com>, mail:info@winerykhareba.com

არჩილ გუნიავას მარანი-მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ კვალითში. აწარმოებს: ციცქა, ცოლიკოური, კრახუნა, დონდლაბი, ოცხანური საფერე, მგალობლიშვილს და ძელშავს. ტელეფონი: 599 53 42 95

მაკარიძის მარანი-მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში. აწარმოებს: ციცქას, ციცქა-ოცხანურ საფერეს, ალადასტურს. ტელეფონი: 551577751

ჩემ კვლევაში 8 სანერგე მეურნეობის წარმომადგენელთან მქონდა კავშირი, რომელიც მდებარეობს: როხის, ვარციხის, ეწრის, ობჩის, საზანოს, ძევრის და სვირის ტერიტორიაზე. ფასწარმოქმნაში მთავარი ფაქტორია სადედე ჯიში, იმერული ყურძნისთვის იდეალურია ამერიკიდან იმპორტირებული ვაზი, რომელზეც ხდება დამყნობა ადგილობრივი ჯიშის, მოსავლიანობა და გამძლეობა გაცილებით მაღალია. აქტიურად მიმდინარეობს მეურნეობებში ჰიბრიდაციის მეთოდი, როგორც სადედე ისევე სტანდარტულ ვაზზე.

გაწეული თანადგომისთვის და მხარდაჭერისთვის მინდა მადლობა გადავუხადო: ა.ა.ი.პ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორის ვალერ კვინიხიძეს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განყოფილების უფროსს გია ხორავას, სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსს დავით მშვილდაძეს.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Girshel giorgidze

**Territorial and socio-economic features of wine industry in imereti
region**

Human Geography

**Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the
requirements for the degree of master of science**

Supervisor: Tamar Dolbaia

Associate Professor, Academic doctor of geography